ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 2 აგვისტო, 2021 №140 (8669) ფასი: 60 თეთრი

მთაწმინდაზე ავსტრალიელი ქალი, 31 წლის შანაე ბრუკი, მოკლული იპოვეს

სპორტული აღნაგობის სლავური გარეგნობის მამაკაცი – ვინ არის სავარაუდო მკვლელი

გვ.5

გიორგი გახარია მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატებს 1 კვირაში წარადგენს

გვ.4

„ერთმანეთის ლანძღვა-გინება თუ არ დასრულდა, წინ ვერ წავალთ“

„ნაცმოძრაობას ვადამდელი არჩევნები არ აწყობს“

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ ამომრჩეველს საკუთრებად აღიქვამდა და ახლა განცდა აქვს, რომ მონები გახარიამ მოჰპარა“

გვ.2

„თუ „ოცნება“ 43%-ს ვერ აიღებს და ვადამდელს არ დანიშნავს, ეს დასავლეთისთვის წითელი ხაზი იქნება“

„ოცნება“ რუსეთის გარეშე ოპოზიციას არ გადააგდებდა“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „ოპოზიცია მიშელის შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლას გულუბრყვილოდ უყურებს“

სოსო ცინცაძე: „იმაზე დიდი უკულტურობა რა უნდა იყოს, როდესაც ქვეყნის კულტურის მინისტრი ჟურნალისტს ხელიდან მიკროფონს ჰგლეჯს?!“

გვ.3

„ვერც გახარია და ვერც ოპოზიცია ვერც ერთ რაიონში მერს ვერ გაიყვანენ“

„თუ ოპოზიცია ძველებურად მოიქცევა, „ოცნება“ 43-ს კი არა, 143%-ს აიღებს არჩევნებზე“

გვ.3

„ამირან სალუქვაძე: „ნაციონალებმა მიშელის დოკუმენტზე ხელის არმოწერით რუსეთის ინტერესები გაატარეს“

ISSN 1987-9385

2 საქართველო ევროპაში ყველაზე ჰომოფობიური ქვეყანაა

5 ერთი მამაკაცი აუპატიურებდა, მეორე კი ქალს აკავებდა
რუსთავში 25 წლის უცხოელი გააუპატიურეს

2 ვისთვის შეიძლება გახდეს ვაქცინაცია სავალდებულო საქართველოში

6 2 ბავშვი ფიჭვნარში წიგნებს წვავდა
როგორ გაჩნდა თურქეთში დიდი ხანძარი

„ნაცმოძრაობას ვადამდელი არჩევნები არ აწყობს“

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ ამომრჩეველს საკუთრებად აღიქვამდა და ახლა განცდა აქვს, რომ მონები გახარიამ მოჰპარა“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ გიორგი გახარიას მეტსახელი გუნდში იყო „ბოლი“, რადგან ის საქმის გამკეთებელი არ არის. ეს მაშინ, როცა რამდენიმე თვის წინ იგივე კობახიძე გახარიას მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. კობახიძემ ისიც თქვა, რომ მტერთან თანამშრომლობა შეიძლება, ხოლო მოღალატესთან — არა. „ოცნება“ მოღალატედ გახარიას აღიქვამს, მტრად კი — ნაციონალურ მოძრაობას. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

„თუ „ოცნება“ 43%-ს ვერ აიღებს და ვადამდელს არ დანიშნავს, ეს დასავლეთისთვის წითელი ხაზი იქნება“

– რა კომენტარს გააკეთებთ კობახიძის განცხადებაზე? ასე ეშინიათ კობახიძესა და „ოცნებას“ „ბოლის“ თუ, უბრალოდ, ბიძინას მორიგი ტრიუკიდან აქცენტი სხვა თემაზე გადაიტანეს?

– მანდ რეალური პრობლემა აქვთ და ეს კვლევებიდანაც კარგად ჩანს. იმ ელექტორატთანაც, რომელიც მათ უჭერს მხარს, პრობლემა შეექმნათ. მათ შექმნეს ვითარება, რომ ამომრჩეველს ეუბნებოდნენ, გასაგებია, მე არ მოგწონვარ, მაგრამ უნდა აირჩიო მე და მიშას შორისო. ხდებოდა მიშას დემონიზაცია და ადამიანებს სთავაზობდნენ ნეგატიურ არჩევნებს. შესაბამისად, იმ ელექტორატს, რომელსაც არც წარსული მოსწონს ნაცმოძრაობის ხელისუფლების სახით და არც აწმყო, იყო არჩევანის წინაშე, როგორც იტყვიან, ჯოხით ერეკებოდნენ საარჩევნო უბნებზე.

გახარიას აქვს ზომიერი ცდა. ადამიანებს, რომლებიც მომავლის არჩევანს ეძებენ, მან გაუკეთა რაღაცა შეთავაზება. „ოცნებას“ უჭირს თავისი ამომრჩევლის მობილიზება. ეს ჩანს კვლევებშიც და ამიტომ არიან დაძაბულები, ჰგონიათ, რომ ეს მათი ხალხი და იყო და გახარია მათ საკუთრებას ართმევს. სხვათა შორის, ეს კომენტარებშიც ჩანდა. მათ შორის ფაქტობრივად აღიარებითი ჩვენება მისცა მამუკა მდინარაძემ ამ თემასთან დაკავშირებით, როდესაც თქვა, ჩვენი აქტიური ხალხი ვინც არის რეგიონებში, ამათ ბაზები აქვთ წაღებულიო, ანუ ამ ხალხს საკუთრებად თვლიდნენ და ის კი არა, რომ ადამიანები არჩევანს აკეთებდნენ და ვიღაცა თვლის, რომ გახარია უკეთესია, ვიდრე კობახიძე. ასე მიიჩნევენ, რომ ეს ხალხი მათი საკუთრება იყო და გახარიამ მოჰპარა ეს მონები.

– იმასაც ვერ ხვდებიან, რომ ასეთი განცხადებებით ის ამომრჩეველიც შეიძლება დაკარგონ, რომელიც ჯერ კიდევ მათ მხარესაა?

– რა თქმა უნდა, ეს არის სისუსტის დემონსტრირება. „ქართული ოცნება“ არც აპირებდა არჩევნების მოგებას, ყიდვას აპირებს. არჩევნები რომ ეყიდა, მაშინ არჩევნების მნიშვნელობა უნდა დაეგდო. რატომ გავიდნენ ხელშეკრულებიდან? იმიტომ რომ, თუ არჩევნებზე ფსონები იქნებოდა მაღალი, ყველას რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოლოდინი გაუჩნდებოდა და ამ შემთხვევაში ფასი იზრდებოდა, მუხტიც იზრდებოდა და აქტივობაც მაღალი იქნებოდა. ამიტომ ეს საკითხი ჩახსნეს, რათა ხალხში ნიჰილიზმი დააბრუნონ და ამის შემდეგ ამომრჩეველი იაფად იყიდონ.

– საინტერესო პოსტი გამოაქვეყნეთ სოციალურ ქსელში, სადაც წერდით, რომ არც ოპოზიციას სურს ვადამდელი არჩევნები და მხოლოდ გახარიას უნდა. საიდან მიხვედით ამ დასკვნამდე?

– ვთქვათ და დაინიშნა რიგგარეშე არჩევნები. ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს იმის პოტენციალი, რომ დამოუკიდებლად მოიგოს არჩევნები. ერთადერთი მხარე, რომელსაც თეორიულად შანსი აქვს, კოალიციაში 50%+1 მიიღოს, არის გახარია. სხვა პარტიებსაც არ აქვთ განვითარების რესურსი. გახარიასთან ალიანსი კი, უბრალოდ, გამორიცხულია. ამიტომ ნაცმოძრაობაში ფიქრობენ, კი ბატონო, მივაღწიოთ რაღაც შედეგს, დაინიშნა ვადამდელი არჩევნები, მაგრამ იმის პერსპექტივა, რომ ძალაუფლება ავიღოთ თუნდაც კოალიციაში, არის ძალიან ბუნდოვანი, შესაბამისად, მათ ისევ მღვრიე წყალში თევზის ჭერა ურჩევნიათ, ანუ უფრო არა საარჩევნო განვითარებით, არამედ – კრიზისის გავლით.

პატარა პარტიებიც იმავე მდგომარეობაში არიან. მათ თუ ზრდის საშუალება ჰქონდათ, აქამდე უნდა გაზრდილიყვნენ, მაგრამ გახარიას გამოჩენის შემდეგ ამ სამობილიზაციო ელექტორატზე ვერ გადიან, ვერ იზრდებიან. ახლა 6-7–წევრიანი ფრაქციებია შექმნილი და ამაზე უკეთესის ჩვენების იმედი მაინცდამაინც არ აქვთ. გახარიაა ერთადერთი, რომელსაც რესურსი აქვს, განა იმიტომ, რომ გახარია არჩევნებს მოიგებს, არა, ის მესამე ადგილზე გავა, მაგრამ მის ხელში აღმოჩნდება ოქროს გასაღები. გახარიას გარეშე ორივე მხარისთვის შეუძლებელი იქნება მმართველი კოალიციის შექმნა. ის აღმოჩნდება ძალიან მომგებიან სიტუაციაში, როდესაც ძალაუფლების ბედს ფაქტობრივად ის გადაწყვეტს. საითაც გადაიხრება, იქით იქნება ძალაუფლება.

ეს არც „ქართულ ოცნებას“ აწყობს, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მითი გახარიაზე დასანგრევია. ივანიშვილმა ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ გახარია არავინ არ არის. თუ იძულებული გახდა, გახარიასთან კოალიცია შექმნას, მის ერთადერთობას ეჭვქვეშ დააყენებს, რაც მისთვის დამღუპველია. ამიტომ ამბობს კობახიძე გახარიაზე, რომ ის მოღალატეა და ა.შ.

– კობახიძემ ისიც თქვა, მტერთან შეიძლება თანამშრომლობა, მოღალატესთან – არაო. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– ფაქტობრივად მან უფრო მეტად დაუშვა ნაციონალურ მოძრაობასთან კოალიციის შექმნა, ვიდრე გახარიასთან.

– უკვე ეს შესაძლებლობაც არ უნდა გამოვრიცხოთ?

– არა, ეს პრაქტიკულად გამორიცხულია, მაგრამ მან პრიორიტეტები ასე დაალაგა. ვინ ღაპარაკობს ღალატზე? – საქმე ის გახლავთ, რომ პოლიტიკური გაგებით მხოლოდ პრინციპების ღალატი შეიძლება. გახარიას პრინციპებისთვის არ უღალატია, სადაც იყო, ისევ იქ არის. რადგანაც გუნდში არ იყო თანხმობა, პრინციპული მოსაზრებებით წამოვიდა. ისინი გუნდის ინტერესებს პრინციპებზე მაღლა აყენებდნენ. ეს არის მაფიის პრინციპი. თუ პრინციპების გამო საძმოს ღალატობ, ეს ითვლება ცუდ ტონად მაფიის პრინციპით. ფაქტობრივად კობახიძემ რაც ილაპარაკა, „ქართული ოცნება“ პარტია კი არ არის, არამედ მაფიოზური სტრუქტურაა, სადაც კონკრეტული დაჯგუფების ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებსა და პრინციპებზე მაღლა დგება.

– მაფიოზური ჯგუფი მართავს ქვეყანას?

– ფაქტობრივად ასე გამოდის, თუ კობახიძის ნათქვამს გავყვებით. მაფია აზროვნებს ასე, რომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, შეგიძლია, ყველაფერი გადათელო – კანონები, სახელმწიფო ინტერესები და ა.შ. ეს ყველაფერი არაერთხელ გაუკეთებიათ მათ.

– დღევანდელი მოცემულობით, რეალობად მიგაჩნიათ ვადამდელი არჩევნები, ოპოზიციის დაქადნების მიუხედავად?

– მე ვფიქრობ, რომ ამის გამორიცხვა არ შეიძლება. „ოცნება“ აღარაფერზე დგას, ერთადერთი, დგას ძალის გამოყენების მონოპოლიაზე და აღარც ამომრჩეველი ჰყავს. მას არანაირი ლეგიტიმაცია არ აქვს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ, რადგან ფანტასტიკური საერთაშორისო გადაგდება მოაწყვეს.

– ამ ფონზე ოპოზიციის გადაგდება რამდენად სწორი იყო პარლამენტში?

– ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის ორი განსხვავებული ტაქტიკა. რა მნიშვნელობა აქვს?! – ორი თვე დარჩა არჩევნებამდე. აგვისტო მკვდარი თვეა, სექტემბერში უკვე აქტიური საარჩევნო კამპანია იქნება და, პარლამენტში იქნებიან თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. არა მგონია, რომ ეს პრინციპული საკითხი იყოს.

– თუ არ დაინიშნა ვადამდელი, მაშინაც არ იქნება პრინციპული მნიშვნელობა?

– თუ „ოცნებამ“ 43%-იანი ბარიერი ვერ გადალახა და რიგგარეშე არჩევნები არ დანიშნა, ეს ქვეყნის სერიოზული კრიზისი იქნება. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში „ოცნება“ სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცევა არა მარტო ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთაც. ამ პირობის დაცვა პრესტიჟის საკითხია იმავე შარლ მიშელისთვის, ამერიკელების პოზიციაც ვნახეთ.

– ეს დასავლეთისთვისაც წითელი ხაზი იქნება?

– რა თქმა უნდა, წითელი ხაზია, იმიტომ, რომ დასავლეთში წარმოუდგენელია კონტრაქტის დადება და მერე მისი შეუსრულებლობა. ასეთი რამე იქ არ ხდება, ვინაიდან ასეთ ადამიანებს ხელს არ ართმევენ. ფაქტობრივად სტერილიზაციას განიცდის.

ისინი ჯერჯერობით მწვავედ არ აყენებენ საკითხს, ფიქრობენ, რომ ეს პირობა მაინც უნდა შესრულდეს. არ თვლიან, რომ „ოცნებას“ ამ შეთანხმების ანულირების უფლება ჰქონდა. შარლ მიშელისა და ამერიკელებისთვის ეს პუნქტი ისევ მოქმედებაშია. თუ არ დაიცავენ ამ მუხლს და ფეხებს გააფიჩინებენ, ამას ძალიან სერიოზული შედეგი მოჰყვება, მაგრამ წინასწარ ამ თემის გაჯაზება არ უნდათ.

დეგნანი: „იმედი მაქვს, შეთანხმება ძალაში დარჩება“

საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი „ქართული ოცნების“ მიერ მიშელის დოკუმენტის ანულირებას ეხმაურება და იმედოვნებს, რომ შეთანხმება ძალაში დარჩება.

– ყველა იმ განცხადებაში, რომლებიც გავრცელდა, მათ შორის ჩვენსაშიც, მკაფიოდ ჩანს საქართველოს მეგობრების იმედგაცრუება, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ შეთანხმებიდან გასვლამ გამოიწვია. მიგვაჩნია, რომ ეს ქართველი პოლიტიკოსების 6–თვიანი მოლაპარაკებების გზით მიღებული საუკეთესო გზამკვლევია და ის საქართველოსთვის საჭირო რეფორმებს შეეხებოდა.

ხელმომწერებმა პირობა დადეს, რომ აღებულ ვალდებულებებს შეასრულებდნენ. ვიმედოვნებთ, რომ შეთანხმება ძალაში დარჩება და ეს შეთანხმება იქნება იმ რეფორმების გზამკვლევი, რომლებიც დოკუმენტით არის გათვალისწინებული. ცალმხრივი რეფორმები საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, მისი მიღების პროცესი იყოს ინკლუზიური და მასში ქართველი ხალხის მიერ არჩეული ლიდერები მონაწილეობდნენ. იმედი მაქვს, ეს შეთანხმება ძალაში დარჩება და ხელისმომწერი მხარეები აღებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერების პირობის დაცვით შეასრულებენ. სანქციებზე საუბარი ნადრევია, მანამ, სანამ არ ამოიწურება ყველა სხვა შანსი, რომ ეს შეთანხმება შესრულდეს. გავაგრძელებთ მოწოდებებს, რათა ყველამ მხარემ შეთანხმებას ხელი მოაწეროს, ხოლო ვისაც უკვე მოწერილი აქვს, შეთანხმების შესრულებას შეუდგნენ, – თქვა კელი დეგნანმა.

საქართველო ევროპაში ყველაზე ჰომოფობიური ქვეყანაა

„საერთაშორისო სოციალური კვლევის პროგრამის“, ISSP-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველო ევროპაში ყველაზე ჰომოფობიური ქვეყანაა.

ISSP-მ კვლევამ 33 ქვეყანაში, ძირითადად ევროპაში, ჩაატარა. მათ რესპონდენტებს ჰკითხეს, არის თუ არა არასწორი სქესობრივი კავშირი ერთი სექსის ორ ზრდასრულ ადამიანს შორის. საქართველოში გამოკითხულთა 84%-მა პროცენტმა თქვა, რომ ეს ყოველთვის არასწორია.

ამ მაჩვენებლით საქართველო ქვეყნების სიის სათავეშია. მას 80%-ით მოსდევს თურქეთი, 78%-ით – ფილიპინები და 69%-ით – რუსეთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხვა აზერბაიჯანსა და სომხეთში არ ჩატარებულა.

უნგრეთში, რომელსაც ევროკავშირი ჰომოფობიური კანონმდებლობის მიღების გამო მწვავედ აკრიტიკებს, გამოკითხულთა 45%-მა თქვა, რომ ეს ყოველთვის არასწორია.

მონაცემები განსხვავებულია ასაკისა და სქესის მიხედვით. მონაცემები აჩვენებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ჰომოფობები არიან, ქალები კაცებთან შედარებით კი – მეტად ჰომოფობები. რაც შეეხება 35-54 წლამდე ასაკის მონაცემებს, აქ ქალებიც და კაცებიც თანაბრად ჰომოფობები არიან.

მართლმადიდებელი ქრისტიანული ქვეყნები უფრო მეტად ჰომოფობიურები არიან, ვიდრე სხვა ქვეყნები. ამ მხრივ კვლევაში გამონაკლისი იყო თურქეთი, რომელიც მუსლიმანური ქვეყანაა და ის პირველ ადგილს იკავებს.

საქართველოში უმუშევრობის დონე ქალაქში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად

2017-2019 წლებში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი სოფლად 5.5% იყო, ხოლო ქალაქში – 19.8%.

ამის შესახებ PMCG-ის კვლევაშია აღნიშნული.

მონაცემების მიხედვით, 2020 წელს კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებამ ავტომატურად გაზარდა სოფლად უმუშევრობის დონის მაჩვენებელი.

„როგორც წესი, საქართველოში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალაქში, ვიდრე სოფლად. ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით, ქალაქებსა და სოფლებში არსებულ უმუშევრობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. 2017-2019 წლებში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი სოფლად 5.5% იყო, ხოლო ქალაქში – 19.8%.

სოფლის მეურნეობაში ჩართული იმ ადამიანების სტატუსის შეცვლამ, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი კომერციულ საქმიანობაზე, ავტომატურად გაზარდა სოფლად უმუშევრობის დონე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქსა და სოფელს შორის არსებული უმუშევრობის დონის სხვაობა. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, 2017-2019 წლების საშუალო უმუშევრობის დონე სოფლად 16.9%-ს შეადგენდა, ხოლო ქალაქში – 21.2%-ს“, – ნათქვამია ორგანიზაციის კვლევაში, რომლის წყაროც საქსტატი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაა.

ვისთვის შეიძლება გახდეს ვაქცინაცია სავალდებულო საქართველოში

ჯანდაცვის სამინისტროში იმუნიზაციის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ქვეყანაში სავალდებულო ვაქცინაციის საკითხზეც იმსჯელეს. როგორც იმუნიზაციის მრჩეველთა ეროვნული ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა ივანე ჩხაიძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე წინა სხდომებზეც იყო მსჯელობა.

მისივე თქმით, არის ადამიანთა ორი ჯგუფი, რომელთა სავალდებულო ვაქცინაციაც პრიორიტეტულია.

„ჩვენი აზრით, ადამიანების ორი ჯგუფი არის პრიორიტეტული. ეს არის, პირველ რიგში, სამედიცინო პერსონალი. მათთვის უნდა იყოს სავალდებულო ვაქცინაცია. ასევე კარგი იქნება, თუ ვაქცინაცია სავალდებულო გახდება განათლების სექტორში და მასწავლებლები და ყველა ადამიანი, ვინც განათლების პროცესში მონაწილეობს, მოსწავლეებს ვაქცინირებული დახვდებიან.

ჯერჯერობით ეს ორი სფეროა, თუმცა ამ ეტაპზე არ არის მიღებული გადაწყვეტილება, იქნება თუ არა სავალდებულო ვაქცინაცია, მაგრამ, თუ მიღებული იქნება მსგავსი გადაწყვეტილება, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება და დააჩქარებს ვაქცინაციის პროცესს“, – აღნიშნა ჩხაიძემ.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავრაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნიკა მელია: „თბილისი სიცოცხლისთვის საშიში ქალაქი ხდება“

თბილისი უსაფრთხოა კრიმინალებისთვის, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია სოციალურ ქსელში წერს.

როგორც მელია აღნიშნავს, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდეს.

„დღითი დღე თბილისი სიცოცხლისთვის საშიში ქალაქი ხდება, ვიმეორებ – სიცოცხლისთვის. თბილისი სიცოცხლით სავსე ქალაქი მხოლოდ კრიმინალურ სამყაროსთან გარიგებაში მყოფი ხელისუფლების ლოზუნგად რჩება.

თბილისი საშიში ხდება თბილისელებისთვის, ჩამოსულებისთვის, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებიდან, სოფლებიდან ჩამოსულებისთვის, ისე უცხოელებისთვის, ტურისტებისთვის.

ფაქტია, თბილისი უსაფრთხოა კრიმინალებისთვის, რომლებიც ნამდვილად უსაფრთხოდ ხოცავენ ჩვენს მოქალაქეებს, ტურისტებს.

მათ უსაფრთხოებას წერტილი უნდა დაესვას. თბილისი მშვიდობიანი, კანონმორჩილი ადამიანებისთვის უნდა გახდეს უსაფრთხო!

კრიმინალებთან შეხმატკბილებული ქ. ოცნება ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდეს.

ასეც იქნება!“ – წერს ნიკა მელია ფეისბუქში.

„ვერც გახარია და ვერც ოპოზიცია ვერც ერთ რაიონში მერს ვერ გაიყვანენ“

სოსო ცინცაძე: „იმაზე დიდი უკულტურობა რა უნდა იყოს, როდესაც ქვეყნის კულტურის მინისტრი ჟურნალისტს ხელიდან მიკროფონს ჰგლეჯს?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნებზე როგორი იქნება გახარიას შედეგი, შეძლებს თუ არა ის, მართლაც შეუქმნას პრობლემა „ქართულ ოცნებას“?

– გახარიას მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა. ყოფილი პრემიერები რიგითი პარლამენტარობისთვის ან საკრებულოს წევრობისთვის არ იბრძვიან, თუმცა, არ მგონია, ამ არჩევნებში სადმე, რომელიმე რეგიონში გახარიამ მერი გაიყვანოს. ვერც ოპოზიცია გაიყვანს. ალბათ, ყველა მერი „ოცნების“ იქნება. საკრებულოებში, ალბათ, ორ-სამ წევრს გაიყვანენ, მაგრამ ეს არც არაფერს ნიშნავს.

დღეს არჩევნების ფასი არის 43%. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. თუ არ დაბრუნდება შეთანხმება 43%-იან ბარიერზე, ჩათვალეთ, ყველაფერი ჩატარდება ისე, როგორც აქამდე ტარდებოდა საქართველოში. არავითარ სიახლეს არ უნდა ველოდოთ.

– კობახიძემ თქვა, 3% რომ ავიღოთ, ვადამდელი არჩევნები მაინც არ იქნებაო. „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერების რეალური პრობლემა აქვს?

– რა თქმა უნდა, აქვს. როგორ შეიძლება, არ ჰქონდეს, როდესაც ასეთი რამ ხდება ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან თუ კრიმინოგენური რეალობიდან გამომდინარე. ინსტიტუტები არ მუშაობს, ჩამოიშალა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმაზე დიდი უკულტურობა რა უნდა იყოს, როდესაც ქვეყნის კულტურის მინისტრი ჟურნალისტს ხელიდან მიკროფონს ჰგლეჯს?! ეს არის კრიზისი. მაინცდამაინც ქუჩაში ერთი მილიონი ადამიანი უნდა გამოვიდეს, რომ ვთქვათ, კრიზისიაო?!

რასაკვირველია, ეს ყველაფერი გროვდება, გროვდება და აისახება ხელისუფლების მხარდამჭერთა რაოდენობაზე. დღეს, ფაქტია, რომ „ოცნებას“ მხარდამჭერების პრობლემა აქვს, მაგრამ ხელისუფლებას არჩევნების მოგების სხვა ბევრი ინსტრუმენტი გააჩნია და, ცხადია, ამ ინსტრუმენტებს ჩართავს.

„ბოიკოტი არის პოლიტიკური იარაღი, მაგრამ ჩლუნგია ბოიკოტი, ძალას კარგავს, როგორც კი მას ერთი არღვევს“

– ოპოზიცია რამდენად ადეკვატურია ამ რეალობის?

– ოპოზიცია საერთოდ გაუგებრად მოქმედებს. გაუგებარია ნაციონალური მოძრაობის ტაქტიკა. გაუგებარია, რატომ არ მოაწერა დოკუმენტს ხელი და რატომ მისცა ეს კოზირი „ოცნებას“, რომელიც, ცხადი იყო, რომ ამას სათავისოდ გამოიყენებდა. დიახ, ეს „ქართული ოცნებისთვის“ მხოლოდ საბაბია, მიზეზი არ არის, მაგრამ ხომ გამოიყენა?! რატომ მისცა ეს საბაბი ნაციონალურმა მოძრაობამ?!

– შესაძლებლობას უშვებთ, რომ ნაციონალებმა ხელი მოაწერონ და პროცესები დაუბრუნდეს 43%-იან ნიშნულს?

– ეს იქნებოდა ყველაზე სწორი სვლა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, მაგრამ ამ მზაობას ვერ ვხედავ მათში. ეს იქნებოდა „ოცნების“ ნოკდაუნში ჩაგდება, თუ შეიძლება, ასე ითქვას. არგუმენტი გამოეცლებოდათ. პოლიტიკურ ბოიკოტსაც მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ რეალურად იცავს მას ყველა ერთად. როგორც კი ერთი დაარღვევს, ის უკვე ბოიკოტი აღარ არის. ბოიკოტი არის პოლიტიკური იარაღი, მაგრამ ჩლუნგია ბოიკოტი, ძალას კარგავს, როგორც კი მას ერთი არღვევს.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ მიშელის შეთანხმება „ოცნებას“ ძვლად გაეჩხირა ყელში და ყველა საბაბს ეძებდა გამოსასვლელად. მშვენიერი ძღვენი გამოუვიდა ნაციონალურ მოძრაობას. მიაქციეთ ყურადღება, ევროპელებიც, ამერიკელებიც კვლავ მოუწოდებენ ნაციონალურ მოძრაობას ხელმოწერისკენ. ოპოზიციის მხრიდან შეცდომების კასკადია.

სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან პესიმისტურად განმაწყობს. რასაც ვუყურებ, ეს უკვე თვითშემოქმედებაა და არა – პოლიტიკა, მით უფრო – მიზანმიმართული პოლიტიკა, რომლის ამოცანაც ხელისუფლებაში მოსვლაა. ეს ის თვითშემოქმედებაა, რომელიც ოპოზიციისთვის კარგად არ დამთავრდება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული, მეტიც, მძიმე მდგომარეობაშია ხელისუფლება, მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, მმართველი პარტია იხტიბარს არ იტეხს, თავისი კურსი აქვს და ამ კურსში ძალიან თანმიმდევრულია. პატარა გადახვევა იყო ამ ხელშეკრულებისთვის ხელის მოწერა, მაგრამ, როგორც კი იპოვა საბაბი, მაშინვე დაუბრუნდა თავის კურსს. როგორც კი დარწმუნდა, რომ 43%-იანი ბარიერი კატასტროფა იყო მისთვის, ძალიან წამგებიანი იყო, თანაც ასეთ საჩუქარს უკეთებს მას ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია, გიჟი უნდა ყოფილიყო, ამ საჩუქრისთვის ხელი აეწერა, თანაც, „ოცნება“ ამით კიდევ ერთხელ ამბობს, ჩემი კონკურენტი ნაციონალური მოძრაობაა და არა „გირჩი“ თუ „სტრატეგია აღმაშენებელიო“, ამით პრაქტიკულად ამბობს, რომ ანგარიშს უწევს ნაციონალურ მოძრაობას.

– გამოდის, ყველაზე სწორი იქნება, ნაციონალებმა ახლა მოაწერონ ხელი?

– რასაკვირველია. ამ ხელმოწერით ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებენ „ქართულ ოცნებას“ და ეს იქნებოდა სწორი, გააზრებული პოლიტიკური სვლა ნაციონალების მხრიდან. ამ შემთხვევაში დასავლეთი უკვე სხვანაირად დაიწყებს ლაპარაკს, მერე სანქციებზეც კი შეიძლება, ალაპარაკდნენ.

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

„თუ ოპოზიცია ძველებურად მოიქცევა, „ოცნება“ 43-ს კი არა, 143%-ს აიღებს არჩევნებზე“

„ამირან სალუქვაძე: „ნაციონალებმა მიშელის დოკუმენტზე ხელის არმოწერით რუსეთის ინტერესები გაატარეს“

გულიკო ბალაძე

– ბატონო ამირან, 19 აპრილის შეთანხმება ანულირებულია. იმდენი ამბავი იყო, ევროპული სტრუქტურები ჩაერთნენ პროცეს ში. შარლ მიშელი ცდილობდა, რადიკალური და დაპირისპირებული ჯგუფები ცოტა გონს მოეყვანა, მაგრამ ნაცმოძრაობამ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა და მმართველი პარტია შეთანხმებიდან გავიდა. თქვენ როგორ აფასებთ ამ დოკუმენტის ანულირებასა და თანმდევ პროცესს?

– არ ვიცი, „ქართული ოცნების“ მაგვრად რომელიმე სხვა პარტია აიღებდა თუ არა ასეთ პასუხისმგებლობას თავის თავზე, დაწყებული 43%-დან, დამთავრებული დანარჩენი საკითხებით, რომლებიც ეხება არჩევნების ე.წ. გაყალბებასა და მის თანმდევ მოვლენებს იმ ფონზე, როცა მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ არჩევნები ცნო.

როცა ყველა დარაზმულად ცნობს არჩევნებს, როცა აღიარებენ ძირითადი უფლებების, თავისუფლებების დაცულობასა და კონკურენტულობას, ულოცავენ (თუმცა დაგვიანებით, რადგან პოლიტიკური რყევები დაიწყო), იქ ყველაფერი გარკვეულია. ასეა ყველა ქვეყანაში. შემდგომი არჩევნებისთვის უკეთ მოემზადე. ამის მაგვრად 7-თვიანი ძიძგილაობა და პოლიტიკური სისტემის რყევები მივიღეთ.

– ანუ „ოცნების“ მიერ ვალდებულებების აღება არ იყო მოსაწონი?

– „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან ბევრი ვალდებულება აიღო თავის თავზე, რასაც ანალოგიურ სიტუაციაში არც ნაცმოძრაობა და არც რომელიმე სხვა პარტია არ აიღებდა. „ოცნებამ“ დაიწყო აღებული ვალდებულებების შესრულება. ფაქტობრივად, ყველაფერს ასრულებენ. შეიძლება, რაღაც საკითხებში ოპოზიციას სადავო ჰქონდეს, მაგრამ ამაზე შეიძლება იდავოს იმ მხარემ, რომელმაც ხელი მოაწერა.

თუ ორივე მხარემ შეთანხმებას ხელი მოაწერა, მაგრამ ერთ-ერთი არ ასრულებს, მეორე მხარეს უფლება აქვს, შეთანხმებიდან გამოვიდეს. აქ უარესი სიტუაცია გვაქვს – მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ, რომლის ჭკუაზეც დადის ოპოზიციურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა (გარდა რამდენიმე პარტიისა, რომლებიც მიხვდნენ, რომ დანარჩენ ოპოზიციას საფლავში არ უნდა ჩაჰყვნენ), დოკუმენტს ხელი არ მოაწერა.

დღეს პოლიტიკურ რეალობაში ორპოლუსიანობაა, რომელსაც ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ წარმოადგენენ. „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობასთან ვალდებულებები არ გააჩნია, რადგან ნაცმოძრაობა დოკუმენტზე ხელს არ აწერს, დანარჩენი პარტიები კი პარლამენტში შევიდნენ და ბოიკოტის რეჟიმში არ არიან. ბოიკოტი და პოლარიზაციის გამძაფრება მიშელის შეთანხმებას ეწინააღმდეგება. მიშელის შეთანხმების მთავარი მიზანი იყო პოლარიზაციის შემცირება, რაც ამ შეთანხმებას არ მოჰყვა, უარესი შედეგი მივიღეთ.

– ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, „ოცნებამ“ ამ შეთანხმებიდან გასვლით პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთიდან რუსეთისკენ შეცვალაო.

– შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი, გარდა 43%-ისა, შესრულებულია. ერთადერთი, დასავლელ პარტნიორებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით ჰქონდათ პრეტენზია, რაზეც „ოცნებამ“ პასუხი გასცა: ეს პუნქტი შესრულებული გვქონდა, მაგრამ კონსულტაციების შედეგად შეთანხმებაში დავტოვეთ, შემდეგ, შეთანხმებაში ჩაწერილი მუხლის შესაბამისად, სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები მივიღეთ, შევცვალეთ წესები და დაპაუზებული დანიშვნები განვაახლეთო.

თუ ამასთან დაკავშირებით კითხვები აქვთ, შეიძლება, ერთადერთი კითხვაა, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ოპოზიციას ჰქონდა საშუალება, ისევ ჩვენი პარტნიორების, შუამავლების მეშვეობით ამასთან დაკავშირებით დისკუსია განეახლებინა, მაგრამ, ეს რომ გააკეთო, ამისთვის საჭიროა შეთანხმებაზე ხელმოწერა. შეთანხმების ხელმომწერი თუ არ ხარ, უფლება არ გაქვს, მეორე მხარეს რაიმე პრეტენზია წაუყენო. ეს ხომ ანაბანაა.

პარტიამ აიღო ვალდებულება 43%-თან დაკავშირებით, რაც საკუთარმა ამომრჩეველმა სისუსტედ ჩაუთვალა. ვინმე საღად მოაზროვნემ ახსნას, რა კავშირშია ეს რუსეთთან და საგარეო პოლიტიკურ კურსთან?!

ოპოზიცია ბრბოდ გვთვლის. ამ შეთანხმებიდან გასვლა თუ პრორუსულობაა, ნაცმოძრაობა თვეების განმავლობაში შეთანხმებას ხელს რომ არ აწერს მაშინ, როცა მთელი დასავლეთი ეუბნება, ხელი მოაწერეო, ეს არ არის პრორუსულობა? ვისგან ელოდებოდა ნაცმოძრაობა დავალების მიღებას, პუტინისაგან? ყველამ მოუწოდა, საკმაოდ მკაცრ ფორმებში, სახელმწიფო უწყებების ოფიციალური განცხადებების დონზე, მოაწერონ ხელი შეთანხმებას. ამას ხომ დასავლეთი მოუწოდებდა. მოაწერეს ხელი? არა, არ აწერენ. სადაური მედასავლეთობა და პროევროპულობაა, ვერ გავიგე.

– ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა დეპუტატმა თქვა, „ოცნებას“ შეეშინდა, რომ 43%-ს ვერ აიღებდა და ამიტომ გავიდა შეთანხმებიდანო.

– ორ თვეში არჩევნებია. იმ ჭკუით, როგორც ოპოზიცია იქცევა, „ოცნება“ 43%-საც აიღებს და 143-საც. ადამიანი საარჩევნო ჯიხურში რომ შედის, ფიქრობს: ერთი მხრივ, არის ხელისუფლება, თუ ამომრჩეველი მას ხმას არ აძლევს, უკეთესი უნდა აირჩიოს. ხომ არ შეიძლება, ხელისუფლებაზე გაბრაზებულმა, თვალდახუჭულმა ვინმე შემოხაზო. მაშინ არჩევნებზე რატომ მიდიხარ? გონივრული არჩევანი ხომ უნდა გააკეთო.

საარჩევნო ჯიხურში იმ პარტიების ჩამონათვალი რომ გხვდება, რომლებიც არ გესაუბრებიან პროგრამებით, არ გესაუბრებიან ეკონომიკაზე, სოციალურ პრობლემებზე, თავდაცვაზე, პირიქით, გარყევენ, დედას იგინებიან, ტრადიციებს გილანძღავენ, ეკლესიას გილანძღავენ, ღვინოს, ქვევრსა და ყველაფერს შეურაცხყოფენ, მათ ხმა რატომ უნდა მისცე?

– ხომ ვიცით, ყოველთვის ხელისუფლებაზე მეტი ზეწოლა ხორციელდება და მის მიმართ მეტი ბრალდებები ისმის.

– მოქმედი ხელისუფლების შემდეგ ყოველთვის უკეთესი ხელისუფლება გვინდა. მივეჩვიეთ, რომ ყველაფერი ხელისუფლებას უნდა დავაბრალოთ. ზოგი ოპოზიციის გამარგინალებასაც ხელისუფლებას აბრალებს. ისეთი ხალხიც არის, ამბობს, ხელისუფლება დამნაშავეა, ოპოზიციას ამდენის უფლებას რომ აძლევსო. ასეთი კომენტარები ხომ წაგიკითხავთ? რა ქნას ხელისუფლებამ, თავისზე უკეთესი ძალა ხელოვნურად შექმნას? ამას არავინ იზამს. ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება – წინა ხელისუფლებამ შექმნა ჯიბის ოპოზიცია, მაგრამ კარგი შედეგი მივიღეთ?

– რა შედეგს მივიღებთ ამ დოკუმენტის ანულირებით? როგორ შეხვდება შარლ მიშელი და დასავლეთი მმართველი პარტიის ამ გადაწყვეტილებას?

– ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ ვის როგორ დააჯერებს და დაარწმუნებს. ჩემი აზრით, შარლ მიშელმა შეურაცხყოფად უნდა მიიღოს იმ ოპოზიციური პარტიის ქმედებები და პოზიცია, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს მისი შუამავლობით შედგენილ შეთანხმებას, როცა შეთანხმების გაფორმებიდან სამ თვეზე მეტი გავიდა, მიუხედავად მოწოდებისა, ოპოზიციამ ფეხებზე დაიკიდა ასეთი მაღალი რანგის შუამავალი.

ეს ზუსტად ის არის, რაც აწყობს რუსეთს. რუსეთს უნდა, რომ ჩვენი პოზიციები ევროპაში შეირყეს, შეგვხედონ, როგორც პოლიტიკურად მოუმწიფებელ სახელმწიფოს. ამიტომ ნაცებს ამბიციები უნდა გადაედოთ და შეთანხმებას შეერთებოდნენ.

ხელისუფლებისაგან ძალიან ბევრი დათმობა მიიღეს. კიდევ მეტის მიღება შეეძლოთ, ხელი რომ მოეწერათ და ხელისუფლებისთვის რაღაც მოთხოვნები წაეყენებინათ. მსგავსი შეთანხმება საქართველოში არ ყოფილა.

ამით ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი დააზიანეს. როგორც ჩანს, მათ ეს აწყობთ.

„ოცნება“ რუსეთის გარეშე ოპოზიციას არ გადააგდებდა“

თამარ ჩხეიძე: „ოპოზიცია მიშელის შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლას გულუბრყვილოდ უყურებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

– მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ გამოვიდა ე.წ. მიშელის მემორანდუმიდან, გამოითქმის მოსაზრებები იმაზე, რომ ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს დაეკარგა ადგილობრივ არჩევნებზე მისვლის მოტივაცია. როგორ გგონიათ, როგორ მოიქცევა ამ კატეგორიის ამომრჩეველი მოახლოებული არჩევნების დროს?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ოპოზიცია, რამდენად ეფექტიანად იმუშავებს. თუ ოპოზიცია სწორად, მაქსიმალურად აქტიურად და ეფექტიანად მოიქცევა, მაშინ ხალხიც მობილიზებული იქნება. ჯერჯერობით ამის ნიშნებს ვერ ვხედავ.

– ოპოზიციის რეაქცია გამოიხატა იმით, რომ ნიკა მელიამ და კიდევ ორმა დეპუტატმა სხვა პარტიებიდან დატოვეს პარლამენტი. ნაცმოძრაობამ ბოიკოტი გამოაცხადა. ეს პროტესტს ნაკლებად ჰგავს. მელია კენჭს იყრის და შეიძლებოდა, ისედაც გამოსულიყო პარლამენტიდან. აგვისტოში ბოიკოტი კი უცნაურია.

– შეიძლება, ოპოზიციის სხვა მოქმედებები მალე დავინახოთ. თაკო ჩარკვიანმა თქვა, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, არ ვარ დარწმუნებული, რომ ოპოზიცია შესაბამისად ხვდება არჩევნებსა და მმართველი პარტიის მხრიდან მოსალოდნელ მრავალფეროვან მაქინაციებს.

– რატომ?

– მინდა, ვცდებოდე, მაგრამ ამ მხრივ გამოცდილება დაგროვდა. წინა არჩევნებზე, ოქტომბერში, ოპოზიცია თავდაჯერებულად აცხადებდა, რომ მის გარეშე ბუზი ვერ გადაიფრენდა საარჩევნო უბნებზე. დამთავრდა არჩევნები, რომელშიც მოგებული წაგებულად გამოცხადდა. დავინახეთ, რომ ოპოზიციამ სათანადოდ ვერ გააკონტროლა სიტუაცია, ვერ დაიცვა ხმები და ვერ დაამტკიცა სიმართლე. ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია ოპოზიციის უაღრესად ეფექტიანი მუშაობა. ოპოზიციის აქტიურობა იმაზე 100-ჯერ მეტი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. მაკვირვებს ოპოზიციის შეფასებები იმაზე, რაც ამ დღეებში მოხდა.

– „ქართული ოცნების“ სკანდალურ გადწყვეტილებაზე საუბრობთ?

– დიახ. დავრწმუნდი, რომ ოპოზიცია მიშელის შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლას გულუბრყვილოდ უყურებს. უმრავლესობა ამბობს, რომ ეს მოხდა „ოცნების“ დაბალი რეიტინგის გამო. ყველაფერი ასეთი მარტივი არ არის. „ოცნებას“ დაბალი რეიტინგი აქვს და ჰქონდა, მაგრამ ათასნაირი ხრიკისა და მეთოდის გამოყენებით ინარჩუნებდა ძალაუფლებას.

– სინამდვილეში რატომ მიიღეს „ოცნებაში“ ეს ხმაურიანი გადაწყვეტილება?

– ეს ვერ მოხდებოდა რუსეთის გარეშე. გუბაზ სანიკიძემაც ამგვარი რამ თქვა და მეც ამ აზრზე ვარ. ასეთი საკითხები ივანიშვილის დონეზე არ წყდება. ივანიშვილი თავისუფალია ისეთ ამბებში, როგორებიცაა ქონების მიტაცება, ობიექტებისა და ძეგლების აფეთქება, ხეების ამოთხრა და ტრანსპორტირება. ამაში მას მოსკოვი ხელს არ უშლის. რაც უფრო დაინგრევა საქართველო, მით უკეთესია კრემლისათვის. რაც შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, ისინი რუსეთის გარეშე არ წყდება. თუ ადრე რუსეთი ყველაფერზე აცხადებდა, მე რა შუაში ვარო, ახლა აღარ იმალება.

– ამჟამად რა ამოცანები უდგას?

– მეც მოსაზრებას მოგახსენებთ, ჯერ ერთი, უნდა შეიქმნას ილუზია, რომ „ქართული ოცნება“ მარცხდება, ოპოზიცია კი იმარჯვებს. ეს საჭიროა მოდუნებისათვის. სხვათა შორის, ოპოზიციაში იგრძნობა თავდაჯერებულობა. ოპოზიციას „ოცნების“ 28%-იანი რეიტინგის იმედი აქვს. მმართველ პარტიას რეალური რეიტინგი შეიძლება ამაზე დაბალიც ჰქონდეს, მაგრამ, თუ სრულ ზედნაშენს გავითვალისწინებთ, ეს 28% ადვილად გადაიქცევა 48%-ად და 50%-ად. ამიტომ, დიდი სიბრიყვეა იმის გამეორება, რომ „ოცნებას“ დაბალი რეიტინგი აქვს და ყველაფერი კარგადაა. ოპოზიციას სწორი და ძალიან ენერგიული მოქმედებები მართებს, რომ სიტუაცია შეცვალოს. რუსეთის გეგმებში, შესაძლოა, შედიოდეს ისიც, რომ ოპოზიცია მივიდეს არჩევნების ბოიკოტამდე.

– სრული ბოიკოტი ხომ შეუძლებელია?

– შეიძლება, სწორედ ეს იყოს მიზანი. ძირითადი ოპოზიცია გამოაცხადებს ბოიკოტს, ამავე დროს, გამოჩნდებიან შტრეიკბრეხერები და მიიღებენ მონაწილეობას. ხელისუფლება ამ არჩევნებს დაარქმევს მრავალპარტიულს, რეალურად კი ეს იქნება არჩევნები ოპოზიციის გარეშე. კიდევ ერთი მიზანი, რომელიც რუსეთს აქვს, არის საქართველოს გაშავება დასავლეთის თვალში. შეთანხმებაზე უარი დამაზიანებელია ქვეყნისათვის.

– ეს თვითონ დასავლეთის დისკრედიტაციის მცდელობაც ხომ იყო?

– რასაკვირველია. რუსეთს უნდა იმის დამტკიცება, რომ დასავლეთი ვერ მუშაობს.

– ამას ერთვის გამალებული ანტიდასავლური კამპანია სხვადასხვა გააქტიურებული ჯგუფის მხრიდან. ცოტა ხნის წინ თბილისში ორჯერ ჩამოხსნეს და დაწვეს ევროკავშირის დროშა.

– შეთანხმებიდან გამოსვლა და ევროკავშირის დროშის დაწვა ერთი ოპერიდანაა. წინა შემთხვევაში ხელისუფლება არ ჩანდა, ახლა კი გამოჩნდა. ევროკავშირის დროშა პირადად ღარიბაშვილს არ დაუწვავს, მაგრამ ეს გააკეთეს მისმა ზონდერებმა.

– ის ჯგუფები, რომლებმაც 5 და 6 ივლისს იძალადეს, გადამღები ჯგუფები დაასისხლიანეს და დროშები დაწვეს, აცხადებენ, რომ ეს იყო ძალების დემონსტრირება. ისინი აქტიურობას მომავალშიც აპირებენ.

– ჩემი აზრით, ისინი რუსეთის დავალებით გამოიყენებენ ჰიბრიდულ მეთოდებს. თავდასხმა ერთ-ერთი ხერხია. 5 ივლისს გამოყენებულ იქნა ლგბტ-თემატიკა. დარწმუნებული ვარ, ღარიბაშვილს ჰომოსექსუალიზმის პრობლემა არ აღელვებს. მგონია, რომ ფალავანდიშვილისთვისაც არ უნდა იყოს ეს მთავარი საკითხი. მათ სხვა მიზნები ჰქონდათ და თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენეს ეს თემა, თუმცა იმ დღეს ქუჩაში იყვნენ ის ადამიანებიც, რომლებიც მიუღებელი ფორმებით რაღაცას გულწრფელად აპროტესტებდნენ.

– რუსეთში საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. რამდენიმე თვის წინ რუსეთის ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ ამ არჩევნების წინ მთავარი იქნება ლიბერალიზმისა და ტრადიციონალიზმის დაპირისპირება. ეს ხელოვნური კონფლიქტი საქართველოშიც გადმოიტანეს?

– რუსული მეთოდოლოგია და პოლიტიკური ტრადიციები მხოლოდ ამ შემთხვევაში არ გადმოუტანიათ. საუბედუროდ, საქართველოში ფართოდ იყენებენ რუსულ მეთოდებს. პირობის დარღვევა და „გადაგდებაც“ რუსული ტრადიციაა. რუსეთს წესად აქვს პარტნიორის მოტყუება. შეთანხმებიდან გამოსვლაც ამის დამადასტურებელია. ამიტომ იმაზე ლაპარაკი, რომ „ოცნებამ“ ეს გააკეთა დაბალი რეიტინგის გამო, დიდი გულუბრყვილობაა.

– კიდევ რას უნდა ველოდოთ რუსეთისაგან?

– არაფერი არ არის გამორიცხული. საშიშროება ძალიან დიდია, თუმცა რუსეთის ფაქტორი დაუძლეველი არ არის. ამას საზოგადოების ერთიანობა და თანმიმდევრულობა სჭირდება. რუსეთის ფაქტორს მოერია ბალტიისპირეთი. მართალია, ბალტიის რესპუბლიკებს დასავლეთი საბჭოთა სივრცის ნაწილად არ აღიქვამდა და ამანაც ითამაშა როლი, მაგრამ მთავარი იყო ბალტიისპირელების საზოგადოების ერთიანობა და მობილიზებულობა.

– ჩვენი საზოგადოება ასეთი არ არის?

– სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას არ ეტყობა მობილიზებულობა და შესაბამისი პოლიტიკური დონე, თუმცა, თუ ეს გამოსწორდა, ბევრს მივაღწევთ. ამ ეტაპზე საქართველო მძიმე მდგომარეობაშია და ღმერთის იმედად ვართ დარჩენილი.

– რუსეთი ფარულად ყოველთვის ერეოდა საქართველოს საქმეებში. ბოლო ხანს ქართველი ანალიტიკოსები რატომღაც ამას უარყოფენ.

– შეიძლება, მათაც უნდათ იმის თქმა, რომ მთავარი საზოგადოებაა. რუსეთის ჩარევა ადრეც აშკარა იყო, ბოლო დროს კი მოსკოვი თავის ჩარევას აღარ მალავს. ამიტომ ვამბობ, რომ რუსეთის ფაქტორის დაძლევა შესაძლებელია მთელი საზოგადოების (პოლიტიკოსების, არაპოლიტიკოსების) ერთიანობითა და თანმიმდევრული, გონივრული მოქმედებებით.

გიორგი გახარია მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატებს 1 კვირაში წარადგენს

„ერთმანეთის ლანძღვა-გინება თუ არ დასრულდა, წინ ვერ წავალთ“

– ამდენი ჭორაობა, ძალადობა და ერთმანეთის ლანძღვა-გინება საბოლოო ჯამში თუ არ დასრულდა, წინ ვერ წავალთ.

ამის შესახებ „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარიამ განაცხადა.

გიორგი გახარიამ გუშინ, 1 აგვისტოს, წყალტუბოში პარტიის ახალი ოფისი გახსნა.

– ჩვენ ახლა პარტიასაც ვაყალიბებთ და არჩევნებშიც ვმონაწილეობთ. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ყველაფერი გავაკეთოთ სწრაფად და ხარისხიანად. მთავარი მიზანი დღეს არის, რომ ამ არჩევნებით შევძლოთ, ჯერ ადგილობრივი ხელისუფლება გავაძლიეროთ და შემდგომ უკვე დიდი არჩევნებით სახელმწიფოც გავაძლიეროთ, თორემ ეს ქაოსი, რაც ხდება, ამდენი ჭორაობა, ამდენი ძალადობა და ერთმანეთის ლანძღვა-გინება საბოლოო ჯამში თუ არ დასრულდა, უბრალოდ, წინ ვერ წავალთ, – მიმართა მხარდამჭერებს გახარიამ.

პარტიის თავმჯდომარემ უშუალოდ წყალტუბოს განვითარების ხედვაზეც ისაუბრა.

– წყალტუბოსთვის ცალკე განვითარების გეგმა გვექნება. საცოდაობაა ახლა ეს რაც აქ ხდება, ასე უფუნქციოდ, უსაქმოდ და უსაგნოდ იყოს. აქ ძალიან დიდი შესაძლებლობებია – ტურისტული შესაძლებლობები, სოფლის მეურნეობა... უკვე გვაქვს დაწყებული, წყალტუბოს ბიუჯეტი რა არის, რითი ივსება და როგორ იხარჯება. რამოდენიმე წერტილს ვიპოვით, როგორ უნდა გაიზარდოს წყალტუბოს ბიუჯეტი, ეს ფული, რომელიც წყალტუბოს ბიუჯეტის შემოსავალია, ხალხს როგორ უნდა მოხმარდეს, ამასაც გადავწყვეტთ. ეს უნდა იყოს კონკრეტული პროგრამა, რითიც ადგილობრივი ხელისუფლების, მოპოვების პრეტენზია ვისაც აქვს, ამ ხალხმა ეს ზეპირად უნდა იცოდნენ ყველაფერი...

უკვე ლაპარაკის დრო აღარ არის, საქმეა საკეთებელი და მით უმეტეს აღარ არის დრო ერთმანეთის ლანძღვა-გინების. ახლა ხომ ხედავთ, ტელევიზორი სადაც არ უნდა ჩართო, სულ ერთმანეთის ლანძღვა, გინება, ქაოსი... არავის ახსოვს ადამიანი. ბოლო ერთი კვირის და თვის კი არა, 1 წლის განმავლობაში საერთოდ ადამიანი და დღევანდელი პრობლემები საერთოდ გაქრა ტელევიზიიდან და პოლიტიკიდან. ამიტომ ნელნელა ეს ყველაფერი უნდა დავაბრუნოთ. არ იქნება ეს მარტივი, ამ ყველაფერს ბევრი შრომა დასჭირდება, მაგრამ ამას ჩვენ გარდა მაინც არავინ გააკეთებს, – ამბობს გახარია.

გიორგი გახარიამ გუნდის დაკომპლექტების პრინციპზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ ადამიანები უნდა აკმაყოფილებდნენ ღირსების, კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის კრიტერიუმებს.

– ხვალ და ზეგ, რა თქმა უნდა, საარჩევნო კამპანიაში უნდა შევიდეთ, მაგრამ რამდენიმე ძირითადი პრინციპია, რომელთაც უნდა მივყვეთ. პირველი, რა თქმა უნდა, ღირსება არ უნდა დაგვავიწყდეს. ახლა რაც ხდება, იმისთვის, რომ ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ საკრებულოში ადგილები და მერი გაიყვანოს, საერთოდ დავიწყებულია სინდისი, ღირსება – საერთოდ ყველაფერი. მეორე – კეთილსინდისიერი ხალხი, მხოლოდ და მხოლოდ კეთილსინდისიერი ხალხი და მესამე – პროფესიონალიზმი.

არც კეთილსინდისიერება არაფერს ნიშნავს, თუ ადამიანი პროფესიონალი არაა და არც მისი პროფესიონალიზმი გვჭირდება, თუ კეთილსინდისიერებასთან პრობლემები აქვს. მაგრამ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უღირსობა არის ყველაზე მძიმე დანაშაული, – ამბობს გახარია.

გახარიამ აღნიშნა, რომ ის „ოცნების“ გუნდიდან მოდის და ამ საერთო წარსულის ლანძღვას არ აპირებს.

– ჩვენც ხომ ოცნებაში ვიყავით – არ შეიძლება, ახლა ჩვენი გუშინდელი დღე ვლანძღოთ, ზოგიერთები როგორც აკეთებენ, ეგრე უნამუსოდ. რა თქმა უნდა, ეს რიგითი მოქალაქისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება. იქ კარგი რაც იყო, იმის ნაწილიც ვიყავით ჩვენ და, იქ რაც ცუდი და შეცდომაც იყო, მაგის ნაწილიც ვიყავით – ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და უნდა გვესმოდეს, რომ ახლა თუ აქ ვდგავართ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის შეცდომები, მაშინ რაც იყო დაშვებული, გამოვასწოროთ. ჩვენ ახლა თუ ესე ვლანძღეთ ერთმანეთი, ამ ბავშვებს რა უნდა ვასწავლოთ, რა მაგალითი უნდა მივცეთ. ამიტომ ღირსებაზე მაღლა არაფერი დგას.

კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინც ჩვენთან ერთად იქნებით და ხალხთან მოგიწევთ ურთიერთობა – ადამიანები არ მოატყუოთ! ჯობია, უთხრა მწარე სიმართლე და არ დაჰპირდე ის, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებ. ერთი კი არა, ასი ხმის გულისთვის ნათქვამი ერთი ტყუილი ზუსტად ერთ წელიწადში შემოგიბრუნდება უკან და ამიტომ ასეთი რაღაცები არ არის გასაკეთებელი. ეს მიუღებელია უბრალოდ, – განაცხადა გახარიამ.

პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივი წარმომადგენლების შერჩევა ადგილობრივების გადასაწყვეტია და ის ამაში არ ჩაერევა.

– ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იქნება მაჟორიტარები, ვინ იქნება სიაში და ვინ იქნება მერობის კანდიდატი. ნახევარი იმერეთი შემოვიარეთ ამ ორ დღეში და ყველგან ვამბობ, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ეს თქვენი გადასაწყვეტია. ზუსტად იმ სამ პრინციპს უნდა მივყვეთ, ღირსეული, კეთილსინდისიერი, პროფესიონალები გვჭირდება ჩვენ. ადამიანმა ღირსება რა არის, ის უნდა იცოდეს. ახლა, ის ხვალ და ზეგ სოფელში და რაიონში თუ ვერ გავიდა და ადამიანებს ვერ დაელაპარაკა და იმის სიტყვის ფასი ნული თუ იქნა, რად გვინდა, ახლა ასეთი სათრევი მაჩანჩალები ჩვენ არ გვჭირდება.

კეთილსინდისიერება... ახლა კორუფცია ძალიან მძიმე თემაა, განსაკუთრებით მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე და რა თქმა უნდა საქმის კეთება უნდა შეეძლოთ, რაღაცა მათ უკან გამოცდილება უნდა იყოს. და ახალგაზრდები – რამდენიმე, 3-4 ძლიერი, კარგი, კეთილსინდისიერი, ახალგაზრდა მაგრამ ერთი გამოცდილი ადამიანი, რომელიც ამათ ჭკუას დაარიგებს და ასწავლის. აი, ეს, ეს არის ძირითადი, მარტივი პრინციპები, – ამბობს გახარია.

გახარიას თქმით, ახლა რაც ხდება, მათთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

– აქ ეს ყველაფერი – უნდა დასხდეთ, გადაწყვიტოთ და ისე უნდა გააკეთოთ, რომ ხვალ ქუჩაში გამოსვლა არ შეგვრცხვეს არავის – არც თქვენ და არც მე და იქ მერე შეცდომა დაუშვით და ვიღაცას ხელისუფლებაში რომ მოვა, საკრებულოში იქნება თუ მერიაში, რაღაც რომ შეეშლება, იმის შესაძლებლობა უნდა გვქონდეს, რომ ვუთხრათ – გაიწიე გვერდზე, იმიტომ რომ თავსაც ირცხვენ და ჩვენც გვარცხვენ – ეს არის ძირითადი პრინციპები და ამას უნდა მივყვეთ თითოეული ჩვენგანი. ჩათვალეთ, რომ ეს კარი გაიღო და 1 კვირა გაქვთ, რომ თქვენ ყველა ერთად შეჯერდეთ მაჟორიტარებისა და მერობის კანდიდატების სიაზე.

ამის შემდეგ ვიწყებთ წყნარად, მშვიდად, ყველანაირი ისტერიკის გარეშე, ლანძღვის, გინების გარეშე, ღირსებით. ახლა აქ რაც ხდება, ერთი ერთს აგინებს, მეორე მეორეს აგინებს – რაღაც სასწაულებს ეძახიან ერთმანეთს, ისეთ რაღაცებს კადრულობენ, გაუგონარს. ამას ჩვენთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რაც არ უნდა იკადრონ, – მიმართა მხარდამჭერებს გახარიამ.

მარჯანიშვილზე ფრანგ ჟურნალისტ ქალებს 2 მამაკაცი თავს დაესხა

თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, საფრანგეთიდან ჩამოსულ ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფს თავს დაესხნენ. ჟურნალისტი ქალები და მათი ქართველი მასპინძელი ქალაქის ცენტრში ჯერ სექსუალურად შეავიწროვეს, შემდეგ კი აედევნნენ. არსებული ინფორმაციით, ქალები თავის დაღწევას ტაქსით ცდილობდნენ, ორი მამაკაცი მათ ფეხით მისდევდა.

შემთხვევა 31 ივლისს მოხდა. ფაქტს თვითმხილველები ჰყავს.

მასპინძელი ქალის ინფორმაციით, პატრული სიახლოვეს იდგა, თუმცა რეაგირება არ ყოფილა. ფრანგი სტუმრების ქართველი მასპინძელი ამბობს, რომ 112-ში დარეკვა მათ ვერ მოახერხეს, რადგან მამაკაცებისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ.

– მოვიდა 2 ბიჭი, დაიწყეს შეურაცხყოფის მოყენება, იწევდნენ გოგოებზე, პატრული დგას იქვე, აბსოლუტურად არ ეშინოდათ. მამაკაცები იდგნენ, იცინოდნენ, არც ერთს არ უცდია ჩვენი დაცვა ან სიტუაციის განეიტრალება, გამოგვეკიდნენ დედის გინებით. მომიახლოვდა და საშინელებებს მეუბნებოდა, – განაცხადა მასპინძელმა.

მთაწმინდაზე ავსტრალიელი ქალი, 31 წლის შანაე ბრუკი, მოკლული იპოვეს

სპორტული აღნაგობის სლავური გარეგნობის მამაკაცი – ვინ არის სავარაუდო მკვლელი

30 ივლისს თბილისში, მთაწმინდაზე, დაიკარგა ავსტრალიელი შანაე ბრუკი, რომელიც 31 ივლისს გარდაცვლილი იპოვეს.

მისი კვალი ტყის მასივში 30 ივლისს საღამოს, 5 საათისთვის დაიკარგა. სწორედ ამ დროს განხორციელდა შანაე ბრუკის ტელეფონიდან ბოლო ზარი აშშ-ში, რომელშიც ის ყვიროდა და ამბობდა: „ხელები გასწიე“.

ამის შემდეგ კავშირი გაწყდა და ავსტრალიელ ქალთან კავშირი შეწყდა.

31 ივლისს, საღამოს, შსს-მ მთაწმინდის ფერდზე ცხედრის პოვნის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რამდენიმესაათიანი ინტენსიური სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მთაწმინდის ფერდობზე გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვნეს.

უცხო ქვეყნის მოქალაქე მიმდინარე წლის 30 ივლისს გაუჩინარდა. შემოსული შეტყობინების მიღებისთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მთაწმინდის ფერდობზე სამძებრო ღონისძიებები დაიწყეს.

სამძებრო სამუშაოებში ჩართულები იყვნენ კრიმინალური პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები.

ასევე ძებნის ოპერაციაში ჩართული იყო საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კინოლოგიის სამსახური.

გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, სსკ-ს 143-ე მუხლით დაიწყო. დაინიშნება შესაბამისი ექსპერტიზები, ტარდება ყველა საჭირო ოპერატიული და საგამოძიებო და ღონისძიება“, – ნათქვამია განცხადებაში.

მოგვიანებით მუხლი გადაკვალიფიცირდა და პოლიცია საქმეს განზრახ მკვლელობის, სსკ-ს 108-ე მუხლით იძიებს.

* * *

ნინო ზამბახიძის ინფორმაციით, ავსტრალიიდან ჩამოსული შანაე ბრუკი საქართველოში რამდენიმე ადგილას ინგლისურენოვან პედაგოგად მუშაობდა. ზაფხულის არდადეგებს ატარებდა საქართველოში და ორი დღის წინ ჩამოვიდა აჭარიდან ბაიკით.

„ცხოვრობდა გოგებაშვილზე, საიდანაც 30 ივლისს გავიდა და წავიდა მთაწმინდის მიმართულებით სალაშქროდ, სადაც ხშირად დადიოდა მარტოც და მეგობრებთან ერთადაც.

მან მეგობარს ტელეფონზე უთხრა, რომ 11 საათზე დაამთავრა ონლაინ სამსახური და გავიდა სავარჯიშოდ.

მის ბოლო კვალზე აშშ-ში მყოფი მისივე მეგობარი საუბრობს. შუადღისას სატელეფონო ზარის მომენტში ამ გოგონას საშინელი განწირული ხმები მოესმა, თითქოს მას ვიღაც თავს დაესხა და შველას ითხოვდა, ვიღაცას უყვიროდა, ხელი გამიშვიო“, – წერს ნინო ზამბახიძე.

მომხდართან დაკავშირებით გარდაცვლილის ახლობლები და მეგობრები რამდენიმე საათის განმავლობაში იკითხებოდნენ.

– სხვადასხვა კითხვა დამისვეს შანაე ბრუკის გაუჩინარებაზე, არაფერი განსაკუთრებული, აინტერესებდათ, სად ვიყავი, რას ვაკეთებდი და როგორ გავიგე ინფორმაცია. როგორც ვიცი, შანაეს ცხედარი მთაწმინდის ფერდზე იპოვეს.

შანაე კარგი მეგობარი იყო. ჩვენ ის მოგვენატრება. იმედი მაქვს, გაირკვევა, რა მოხდა, რათა მსგავსი აღარ განმეორდეს, – განაცხადა შანაე ბრუკის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

უცნობია, რა გზით მოხვდა ახალგაზრდა ქალი მთაწმინდის მარცხენა ფერდზე, სადაც რაიმე ინფრასტრუქტურა მოწყობილი არაა და ბილიკი საკმაოდ რთულად გასავლელია. ტერიტორიაზე ერთი შესასვლელი ეშმაკის ბორბლის მხრიდანაა, მეორე გზა კი ქალაქის, ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან ასასვლელია.

სოციალურ ქსელში რამდენიმე ადამიანის პოსტი გავრცელდა, სადაც ისინი ყვებიან, იმავე ტერიტორიაზე როგორ დაესხათ თავს კონკრეტული კაცი.

ისინი ყვებიან, რომ კაცი სლავური გარეგნობისაა.

„ამ ადგილას ორჯერ დამესხნენ თავს, ერთხელ ვიყავი ბავშვთან ერთად, მეორედ – მეგობართან. ორივეჯერ დავწერე განცხადება და ახლა ამ ამბის გამო მომხდარი კიდევ ერთხელ

გამახსენდა. ეს ადამიანი აშკარად ფსიქოპათია, დაგვიშინა ქვები, ფაქტობრივად, სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით.

ახალგაზრდა კაცი იყო, დაახლოებით 170 სმ სიმაღლის, არც ისე მაღალი, სპორტული აღნაგობა ჰქონდა, თავისუფლად საუბრობდა რუსულად, დაახლოებით 60 კგ-ზე მეტი იქნებოდა“, – წერს ერთ-ერთი მოქალაქე.

კაცს ღია ფერის კანი და თმა აქვს. ის რეგულარულად ვარჯიშობს მთაწმინდაზე, დადის სპორტული ტანსაცმლით და განსაკუთრებით ქალებსა და ძაღლებს ერჩის.

„მთავართან“ საუბრისას ალექსანდრე კვახაძე ყვება, რომ მის მეგობარს, ისრაელის მოქალაქე ქალს, იმავე ადგილას მთაწმინდაზე თავს დაესხნენ.

– 2020 წლის მაისში ჩემს მეგობარს, ისრაელის მოქალაქე ქალბატონს, ზუსტად იმავე ადგილას, დღისით და მზისით თავს დაესხა მამაკაცი, ის უბრალოდ სასტიკად სცემდა, როგორც თვითონ ამბობს, მოსაკლავად სცემდა, მაგრამ, ვინაიდან ფიზიკურად ძლიერი და ნავარჯიშევი იყო, შეძლო მისგან თავის დაღწევა, მიიღო მოტეხილობები, ამის შესახებ აცნობა პოლიციას, თუმცა პოლიციამ ვერ მოახერხა მოძალადის დაკავება, – ამბობს ის.

პოტენციური მოძალადის ფოტოები ზოგიერთ ჯგუფშიცაა გავრცელებული, თუმცა, რატომ ვერ შეძლო პოლიციამ მისი დაკავება, უცნობია.

ტელეკომპანია „ფორმულას“ ფოტოგრაფის მიმართ ძალადობის ფაქტზე 2 პირს ბრალდება წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, ტელეკომპანია „ფორმულას“ ფოტოგრაფ ვ.ქ.-ს მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის გამო განხორციელებული დევნის, დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და შეუწყნარებლობის მოტივით ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ფაქტზე გ.გ.-სა და გ.ხ.-ს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის დროს, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე გ.გ, გ.ხ. და მათთან ერთად მყოფი პირები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზნით და შეუწყნარებლობის მოტივით თავს დაესხნენ ტელეკომპანია „ფორმულას“ ფოტოგრაფ ვ.ქ.-ს, რომელსაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, პროფესიული საქმიანობის შეწყვეტას აიძულებდნენ, რათა მისი მხრიდან არ მომხდარიყო მათ მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების გადაღება და გავრცელება.

„სამართალდამცველებმა გ.გ. და გ.ხ. 29 ივლისს დააკავეს. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით), 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით) და 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორების და ასევე ამ ძალადობაში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროში აქტიური საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

„თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამ დროისთვის ბრალი 31 პირს წარედგინა. ამ ეტაპზე საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 53 პირი, მათ შორის, 42 ჟურნალისტი და ოპერატორი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ერთი მამაკაცი აუპატიურებდა, მეორე კი ქალს აკავებდა

რუსთავში 25 წლის უცხოელი გააუპატიურეს

რუსთავში 25 წლამდე ქალი გააუპატიურეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ბარათაშვილის ქუჩაზე, „წყალსაქაჩის“ ტერიტორიაზე, 25 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქე ორმა 25 წლამდე მამაკაცმა მოტყუებით შეიყვანა. აქედან ერთმა მამაკაცმა ქალი გააუპატიურა, მეორე მამაკაცი კი ქალის მიმართ ძალის გამოყენებაში ეხმარებოდა.

ფაქტის შესახებ მალევე ეცნობა რუსთავის პოლიციის შესაბამის განყოფილებას. გოგონა უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში შოკურ მდგომარეობაში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქ/პუნქტით მიმდინარეობს, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

დაკავებულებს ბრალი უკვე წარედგინათ.

ჩუმლაყში მკვლელობის საქმეში ბრალდებული ალექსანდრე ტურიაშვილი გირაოთი გამოუშვეს

– მკვლელობისა და სამი პირის დაჭრის ფაქტი შურისძიებას უკავშირდება.

ამის შესახებ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში მომხდარი მკვლელობის შემდეგ დაკავებული პირების ადვოკატმა განაცხადა.

მომხდარ ფაქტზე ბრალდებული ორი პირიდან ერთ-ერთი სასამართლომ ოთხი თვის გასვლის შემდეგ გირაოთი გაათავისუფლა.

დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულ ალექსანდრე ტურიაშვილს, სამიათასლარიანი გირაოს გარდა, საზღვრის გადაკვეთა, მოწმეებთან კონტაქტი და საცხოვრებელი ადგილის დატოვება აეკრძალა.

ბრალდებულის ადვოკატ ილია ოთარაშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა გამოძიებასთან ითანამშრომლა.

– მან ითანამშრომლა გამოძიებასთან და რისკები, რომ მისი გარეთ ყოფნა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ხელს შეუშლის, არ არსებობს. ტურიაშვილი აღიარებს დანაშაულს და გრძნობს პასუხისმგებლობას. რაც შეეხება უშუალოდ მკვლელობასა და ში პირის დაჭრას, მომხდარი შურისძიებას უკავშირდება, თუმცა არა 15 წლის წინ მომხდარ მკვლელობას. საკუთარ დანაშაულს მკვლელობაში ბრალდებული ჯუანშერ ტურიაშვილიც აღიარებს, – განაცხადა ოთარაშვილმა.

მკვლელობისა და სამი პირის დაჭრის ფაქტი სოფელ ჩუმლაყში 2021 წლის 25 მარტს მოხდა.

ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან კრიმინალური ავტორიტეტის მალხაზ ბადუაშვილის ავტომობილს ცეცხლი გაუხსნეს.

საჭესთან მყოფი 42 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, თავად ბადუაშვილი და კიდევ ორი პირი სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარ ფაქტზე პროკურატურამ ბრალი სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებ ორ პირს, ალექსანდრე და ჯუანშერ ტურიაშვილებს წაუყენა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109– ე, 19, 109-ე, 236-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

მოგვიანებით კრიმინალური ავტორიტეტი, წარსულში მკვლელობისათვის ნასამართლევი მალხაზ ბადუაშვილი სამართალდამცავებმა თბილისში ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისათვის დააკავეს.

წალენჯიხაში მამაკაცი დაიხრჩო

31 ივლისს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელ საჩინოში, მდინარე ინწრაში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო.

„კურიერის“ ინფორმაციით, ის სოფელში სტუმრად იმყოფებოდა და მდინარეზე მეგობრებთან ერთად გავიდა.

ცხედარი ქუთაისში, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშია გადასვენებული.

რუსთავის ციხეში პატიმარი მოკლეს

რუსთავის მე-17 პენიტენციარულ დაწესებულებაში პატიმრები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

დაპირისპირების დროს 1 პატიმარი გარდაიცვალა, არიან დაშავებულებიც. დაშავებულები „ვივამედის“ კლინიკაში გადაიყვანეს.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, ანგარიშსწორების მიზეზი ფულია, რომლის მიტანასაც გავლენიანი მსჯავრდებულები ითხოვდნენ.

გამოძიება 26 ივლისს დაიწყო. რუსთავის პენიტენციარულ დაწესებულებაში მომხდარს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სწავლობს.

შემთხვევა რამდენიმე კვირის წინ მოხდა, თუმცა მედიისთვის გასული კვირის ბოლოს გახდა ცნობილი.

ქობულეთის შემოვლით გზაზე ერთმანეთს 2 ტრაილერი შეეჯახა

1 მძღოლი დაიღუპა

30 ივლისს ქობულეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 1 კი დაშავდა.

შემთხვევა ქობულეთის შემოვლით გზაზე მოხდა. ერთმანეთს ორი ტრაილერი შეეჯახა. შეჯახების შედეგად ერთ-ერთი ამოყირავდა.

გარდაცვლილიც და დაშავებულიც კლინიკაში სასწრაფო დახმარებამ გადაიყვანა. მედიკოსთა განცხადებით, ორივე მათგანს შესაბამისი სამედიცინო პროცედურები ჩაუტარდა, თუმცა ერთ-ერთი სატვირთო ავტომობილის მძღოლის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმე იყო და იგი კლინიკაში გარდაიცვალა.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

ჩაქვში მანქანა ჯებირს შეეჯახა

2 ადამიანი დაიღუპა

30 ივლისს დაბა ჩაქვში მომხდარი ავარიის შედეგად ორი ახალგაზრდა დაიღუპა. მსუბუქი ავტომანქანა ბეტონის ჯებირს შეეჯახა. შემთხვევა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სსკ 276-ე მუხლის II ნაწილით მიმდინარეობს.

საბურთალოზე სატვირთო ველოსიპედისტ ბავშვს დაეჯახა

31 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისში, საბურთალოზე, უნივერსიტეტის ქუჩაზე. სატვირთო ავტომობილი დაეჯახა ბავშვს, რომელიც ველოსიპედით გადაადგილდებოდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, დაშავებულ არასრულწლოვანს სასწრაფოს მისვლამდე პირველადი დახმარება ადგილზე თვითმხილველებმა აღმოუჩინეს.

ბავშვი იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს.

სარფში ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიღუპა

სარფში უბედური შემთხვევა მოხდა.

თვითმხილველების თქმით, ბიჭი ზღვაში სიმაღლიდან გადახტა, რის შემდეგაც მან თავი ქვას დაარტყა.

მაშველებმა მისი გამოყვანა მალევე მოახერხეს, მაგრამ გადარჩენა ვერ შეძლეს.

„ამბების“ ინფორმაციით, დაღუპული ბათუმის დინამოს აკადემიის ყოფილი ფეხბურთელი დიმა შიტაკაშვილია.

ბათუმის დინამოს აკადემიამ ფეისბუქში დაწერა:

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დინამო ბათუმის აკადემიის ფეხბურთელის დიმა (კარაი) შიტაკაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო“.

საფრანგეთში კოვიდპასპორტები გააპროტესტეს

საფრანგეთში კოვიდპასპორტების შემოღება ათასობით ადამიანმა გააპროტესტა.

უკვე მე-3 კვირაა, რაც საფრანგეთის მოქალაქეები ხელისუფლების მიერ კოვიდპასპორტების დაწესებას აპროტესტებენ.

აქციები საფრანგეთის ათობით ქალაქში გაიმართა, მათ შორის ყველაზე მასშტაბური პარიზის დემონსტრაცია იყო.

ქალაქში პოლიციასა და სამართალდამცავებს შორის დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც 3 პოლიციელი დაშავდა. სამართალდამცავებმა 19 აქტივისტი დააკავეს.

შეგახსენებთ, საფრანგეთში სამედიცინო პერსონალისთვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ანაზღაურებას ვერ მიიღებენ.

ამას გარდა, რესტორნებში, კინოთეატრებში, თეატრებსა და მუზეუმებში შესვლისათვის ადგილობრივებს ვაქცინაციის დამადასტურებელი კოვიდპასპორტების წარდგენა ან ტესტის უარყოფითი პასუხი დასჭირდებათ.

კიევში პრაიდი ჩაიშალა

კიევში პრეზიდენტ ზელენსკის ოფისთან ლგბტ თემის წარმომადგენლებმა აქცია გამართეს. ისინი კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას მოითხოვდნენ. ამ ცვლილებებს ლგბტ თემის უფლებების დაცვა უნდა უზრუნველეყო.

ლგბტ თემის აქციას პოლიცია იცავდა. მიუხედავად ამისა, ნაციონალისტური ორგანიზაცია „ტრადიციებისა და წესრიგის“ წარმომადგენლებმა მათზე იერიში მიიტანეს. ნაციონალისტებსა და პოლიციელებს შორის მოხდა შეტაკება. ნაცემები ორივე მხარეს არიან. ლგბტ თემის წარმომადგენლებმა გაქცევით უშველეს თავს.

პრაიდის ჩაშლამ საკმაოდ შეუმჩნევლად ჩაიარა. არც ზელენსკის პარტია „ხალხის მსახურს“, არც პეტრო პოროშენკოს „ევროპულ სოლიდარობას“, არც იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინას“ თუ სხვა პროდასავლურ ორგანიზაციებს ლგბტ თემის დასაცავად ხმა არ ამოუღიათ.

კიევის პრაიდის ჩაშლა არც ერთმა წამყვანმა უკრაინულმა გაზეთმა თუ ტელეკომპანიამ არ გააშუქა.

2 ბავშვი ფიჭვნარში წიგნებს წვავდა

როგორ გაჩნდა თურქეთში დიდი ხანძარი

თურქეთში ხანძარი ტურისტულ ზონებს უახლოვდება. ბოდრუმიდან ტურისტების ევაკუაცია დაიწყო.

ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებით, მარმარისში ცეცხლის გაჩენაში ორი არასრულწლოვანია ეჭვმიტანილი.

ათი წლის ბავშვებმა პოლიციასთან უკვე აღიარეს, რომ ქალაქ მარმარისის მახლობლად მდებარე ფიჭვნარში წიგნებს წვავდნენ, რის შემდეგაც ცეცხლი მიმდებარე ტერიტორიას მოედო. ხანძრის სხვა კერების გაჩენასთან დაკავშირებით კი გამოძიება მიმდინარეობს. ძლიერ ხანძრებს 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავებულთა რიცხვი კი 400-მდე გაიზარდა.

თურქეთის ხელისუფლებამ გადაუდებელი საჭიროებისთვის 6 მილიონ დოლარზე მეტი გამოყო.

განსაკუთრებული დახმარება გაეწევათ მათ, ვინც სტიქიის დროს სახლები დაკარგა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

კატამ პატრონის სახლი კობრისგან დაიცვა

ინდოეთის ოდიშას შტატის ქალაქ ბხუბანესვარში კატა ნახევარი საათის განმავლობაში იგერიებდა კობრას შემოტევას და სახლს, სანამ მისი პატრონები ადგილზე გამოძახებულ გველებზე მონადირის მისვლას ელოდებოდნენ.

შინაურმა კატამ გზა გადაუღობა კობრას, რომელიც მისი პატრონის სამპად კუმარ პარიდის სახლში შესვლას ცდილობდა.

შხამიანი ქვეწარმავლის დანახვაზე პარიდა და მისი ოჯახის წევრები პანიკაში ჩავარდნენ და გველებზე მონადირე გამოიძახეს. 30 წუთის მანძილზე, სანამ სპეციალისტი შემთხვევის ადგილზე მიდიოდა, კატა სახლს იცავდა და კობრას შიგნით შეღწევის საშუალებას არ აძლევდა. შინაური ცხოველის პატრონის თქმით, ის წლინახევრისაა და მას ისე უყურებენ, როგორც ოჯახის წევრს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სანდრო მამუკელაშვილი ნბა-ს ჩემპიონ გუნდში ითამაშებს



30 ივლისს ნბა-ს დრაფტი გაიმართა და საქართველოს ნაკრების კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი ინდიანა პეისერსმა აიყვანა, მაგრამ მაშინვე გაუშვა... თანაც 2021 წლის ჩემპიონ გუნდში – მილუოკი ბაქსში.

მამუკელაშვილი ინდიანამ საკმაოდ მოგვიანებით, 54-ე პიკად აირჩია. ექსპერტები ჩვენებურს 50 კაცში ვარაუდობდნენ.

მამუკელაშვილი მეექვსე ქართველია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ითამაშებს. ოკეანის გაღმა მანამდე ვლადიმერ სტეფანიას, ზაზა ფაჩულიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილს, თორნიკე შენგელიასა და გოგა ბითაძეს უთამაშიათ. დრაფტზე არჩეული კიდევ ერთი ქართველი იყო – ვიქტორ სანიკიძე, მაგრამ მას ნბა-ში ერთი მატჩიც არ აქვს ჩატარებული.

სადღეისოდ ნბა-ში გოგა ბითაძე თამაშობს, რომელიც სწორედ იმ ინდიანას ღირსებას იცავს, რომელმაც მამუკელაშვილი თავდაპირველად აიყვანა. ქართველი არც მილუოკისთვის არის უცხო – თავის დროზე „ხარირმებში“ ზაზა ფაჩულიას უთამაშია.

თავად ფაჩულია, საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ნბა-ს 2 ბეჭდის მფლობელი, მამუკელაშვილის არჩევას ასე გამოეხმაურა.

ზაზა ფაჩულია: ძალიან მახარებს ეს ამბავი. 2 ქართველი მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში. სანდრო, კეთილი იყოს შენი ლიგაში მობრძანება, პატარა ძმაო. ისიამოვნე ამ მომენტით. შენი ოჯახისა და შენ გამო სუპერ ამაყი და ბედნიერი ვარ. მილუოკი ბაქს, კარგი ბიჭი აიყვანეთ.

თბილისის დინამო შერცხვა, ბათუმმა ნამუსი შეგვინახა

ბატე (ბელარუსი)-დინამო (ბთ, საქართველო) 1:4

(პირველი მატჩი 1:0)

ბორისოვო. ბორისოვ-არენა

1:0 იაბლონსკი (45), 1:1 მამუჩაშვილი (48პ), 1:2 ჯოვინო (59), 1:3 აზაროვი (74), 1:4 ფანცულაია (90)

ბატე: ჩიჩკანი, ნეჩაევი, ი.ფილიპოვიჩი, ა.ფილიპოვიჩი, ბორდაჩოვი, მილიჩი, კარასიოვი (ნოსკო 84), იაბლონსკი, უმაროვი, ნეხაიჩიკი, სიგნევიჩი (იუსოვი 63)

დინამო: კუპატაძე, ჩაბრაძე, კობახიძე, აზაკკი, აზაროვი, ალთუნაშვილი (ნავალოვსკი 90), ტეიდი, მამუჩაშვილი (გაფრინდაშვილი 79), ზარია (მანჯგალაძე 66), ჯიღაური (შინდაგორიძე 79), ფლამარიონი (ფანცულაია 79)

კონფერენციის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნამუსი ბათუმის დინამომ მოსწმინდა. არადა, ზღვისპირელებს რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. ერთი კვირის წინ გია გეგუჩაძის გუნდი ბათუმში 0:1 დამარცხდა.

ეს ამოცანა კიდევ უფრო დამძიმდა პირველი ტაიმის ბოლოს, როდესაც კუპატაძის შეცდომის შემდეგ იაბლონსკიმ ანგარიში გახსნა.

არადა, მანამდეც დინამო უტევდა: ჯერ მცველებმა გამოიტანეს ბურთი ცარიელი კარიდან, შემდეგ ხარიხასაც მოხვდა ბურთი, ბოლოს ჯიღაურსაც აუღო მეკარემ, მერე გოლიც მივიღეთ.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა და ლადო მამუჩაშვილმა ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

ამის შემდეგ გამუდმებით დინამო უტევდა და ბატე სასწაულებრივად გადაურჩა გოლს, მაგრამ დროებით – ჩაბრაძის პასის შემდეგ შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ფლამარიონმა წინ გაიყვანა გუნდი.

თითქოს საქმე სანახევროდ გაკეთებული იყო, 2 მატჩის ანგარიში გათანაბრდა, ზღვისპირელები სტუმრად თამაშობდნენ და უფრო კარის უსაფრთხოებაზე უნდა ეფიქრათ. თუმცა გუნდი ასე არ მოიქცა და შეტევები გააგრძელა.

ამ შეტევებმა შედეგი 74-ე წუთზე გამოიღო – აზაროვმა შორიდან რონალდუს სტილში დაარტყა და ბატეს მეკარე გააშეშა. 3:1 უკვე ის ანგარიში იყო, რომელსაც გია გეგუჩაძის გუნდი შემდგომ ეტაპზე გაჰყავდა.

ბატემ შემოგვიტია, მაგრამ კუპატაძემ შეცდომა აღარ დაუშვა და რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, ბოლოს კი ფანცულაია გაექცა მცველებს, მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ზუსტად დაარტყა.

კონფერენსლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდნენ, სადაც 5 და 12 აგვისტოს თურქულ სივასფორს შეხვდებიან. თავის მხრივ, სივასფორმა მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე 2 მატჩის ჯამში მოლდოვურ პეტროკუბს მოუგო.

მაკაბი (ჰ, ისრაელი)-დინამო (თბ, საქართველო) 5:1

პირველი მატჩი 2:1

ჰაიფა. სემი ოფერი

1:0 ლევი (17), 1:1 ოსეი (24), 2:1 სპორკსლედე (37სკ), 3:1 ატცილი (75), 4:1, 5:1 აშკენაზი (81, 85)

მაკაბი: კოენი, მეირი, პლანიჩი (სტრაინი 84), დაჰანი, მენაჰემი, ლევი (ჯაბერი 80), ჩერი (საჰარი 65), როდრიგესი, ჰაზიზა, დონიო (დავიდი 65), ატცილი (აშკენაზი 80)

დინამო: მიგინეიშვილი, ხვადაგიანი, პაპავა, ბენიო, სპორკსლედე (იაშვილი 78), ქავთარაძე (კუცია 78), მექვაბიშვილი, რადინი (ქარდავა 52), ხარაბაძე (მორჩილაძე 38), მარუშიჩი (გაბედავა 53), ოსეი

აი, თბილისის დინამოზე რა ვთქვათ ან რა დავწეროთ, უკვე აღარ ვიცით. მერამდენე წელია, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი სამარცხვინოდ გამოდის ევროტურნირებზე. ყველაფერს თავი დავანებოთ, დინამომ უკვე ზედიზედ მე-8 მატჩი წააგო.

მატჩის წინ უიმედოდ კი ვიყავით განწყობილი, მაგრამ ისევ უსუსური თამაში და უპერსპექტივობა, მხოლოდ ეს დავინახეთ, თან გუნდთან, რომელიც წინა ეტაპზე ყაზახურმა კაირათმა დაიფრინა.

დინამო კერძო კლუბია, მაგრამ პასუხისმგებლობა ნამდვილად უნდა აიღოს კლუბის ხელმძღვანელობამ. სხვა გზა არ არის...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

პერის ჰილტონი ბავშვს ელოდება

ამერიკელი მსახიობი და ფოტომოდელი პერის ჰილტონი ფეხმძიმედაა და პირველი ბავშვის გაჩენას ელოდება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

როგორც გამოცემა წერს, 40 წლის მსახიობმა თავის საქმროსთან, მეწარმე კარტერ რიმმასთან ერთად გაიარა ექოსკოპია ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში.

– ის ასი პროცენტით ჩემი ოცნების მამაკაცია. ჩვენ გამუდმებით ვსაუბრობთ ჩვენი მომავალი ქორწილის თაობაზე და ჩვენი მომავალი ბავშვის სახელის შერჩევაზე, – აღიარა მაშინ ჰილტონმა.

წყვილის წარმომადგენლებს ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებიათ ამერიკელი მსახიობის ფეხმძიმობაზე. პერის ჰილტონს და კარტერ რიმს თებერვალში ჰქონდათ ნიშნობა, მათი ურთიერთობის დაწყებიდან ერთი წლის თავზე. ცნობილია, რომ კარტერმა პერის ხელი საკუთარ კუნძულზე სთხოვა და ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა.

მამაკაცმა ლატარიაში ორჯერ მოხსნა ჯეკპოტი

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ჩესაპიკის მცხოვრებმა ბობი ჯონსონმა ერთი და იმავე რიცხვების წყალობით ორჯერ მოხსნა ჯეკპოტი ლატარიის გათამაშებაში. თითქმის წლინახევრის წინ ჯონსონმა ლატარიის გათამაშებაში 100 ათასი დოლარი მოიგო. მას ჯეკპოტი მოუტანა ბილეთში ჩაწერილი რიცხვების კომბინაციამ: 1-2-20-25-27. მიმდინარე წლის ივნისში მან ისევ ითამაშა ლატარია და მორიგი ჯეკპოტი მოხსნა, ამჯერადაც მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა. გაირკვა, რომ მისი იღბლიანი რიცხვები სრულად დაემთხვა ადრინდელს.

– ღმერთო ჩემო, ისეთი ბედნიერი ვიყავი, – განაცხადა ამერიკელმა, რომელიც მოგებული თანხის ოჯახის წევრებზე დახარჯვას და მათი ყოველივე აუცილებელით უზრუნველყოფას აპირებს.

იორკშირულმა ტერიერმა პატარა გოგონა კოიოტისგან იხსნა

კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ტორონტოში ძაღლმა ათი წლის გოგონა გააფთრებული კოიოტისგან გადაარჩინა. ათი წლის ლილი კიუანის თქმით, ის თავის ექვსი წლის იორკშირულ ტერიერ სახელად მეისის ასეირნებდა, როდესაც მათ კოიოტი თავს დაესხა.

გოგონა გაიქცა და ხელი უშვა საბელს, რომლითაც ძაღლს ქუჩაში ასეირნებდა, ვინაიდან მეისი მას თან არ გაყვა და გარეულ ცხოველს შეებრძოლა. იორკშირული ტერიერის და კოიოტის დაპირისპირება კერძო სახლზე დაყენებულმა სათვალთვალო ვიდეო კამერამ გადაიღო.

– ის ძალიან მამაცი ძაღლია. მე ის ძალიან მიყვარს, ამ პაწია ძაღლმა მოახერხა დახმარებოდა ადამიანს, რომელიც უზარმაზარი კოიოტისგან თავის დაცვას ცდილობდა, – განაცხადა კიუანმა. მეისი მტაცებელთან ორთაბრძოლას გადაურჩა, თუმცა მრავალი დაზიანება მიიღო. ამჟამად მას ვეტერინარულ საავადმყოფოში მკურნალობენ და მიუხედავად სერიოზული დაზიანებებისა, სავარაუდოდ, ის მალე გამოჯანმრთელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიკა ჩერქეზიშვილი: „ამ ქვეყანაში ყველაფერმა აზრი დაკარგა“

პოეტი ნიკა ჩერქეზიშვილი მიიჩნევს, რომ საზოგადოება ზომბირებულია:

– ძალიან ვწუხვარ. დანარჩენმა ყველაფერმა აზრი დაკარგა ამ ქვეყანაში.

მთავარი ის არის, რომ, რაც უნდა მოხდეს, ვერავის უსურვებ მსგავს ამბავს საკუთარ შვილზე, დაზე, მეგობარზე.

გული კი გისკდება, ისეთ რამეებს ისმენ და კითხულობ. მაინც მტერსაც ვერ უსურვებ.

აზრი დაკარგა ყველაფერმა იმიტომ, რომ ზომბირებულია საზოგადოება. როგორ შეძლეს და როგორ მოახერხეს ეს, ბოლომდე ვერ ვხვდები.

პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად, ერთიან, უფორმო, უსახო და უშინაარსო მასადაა ქცეული ხალხი.

ყოველდღიურად ვიგებთ საშინელ ისტორიებს და შემთხვევითობად აღიქმება უმრავლესობის მხრიდან ეს ყველაფერი, ვითომც არაფერი.

ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის კანონზომიერი.

არც მიყვარს და არც შემიძლია, ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, დამაკნინებელი ეპითეტით მოვიხსენიო, მაგრამ, ასეთ ტრაგედიებს რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობას უკავშირებ, პასუხს ითხოვ ოთხივე მხრიდან ჟონვად ძალადობაზე და ამაში ვინმე შენს პოლიტიკურ ინტერესს ხედავს და არა გაუპატიურებული და მოკლული ახალგაზრდა ქალის არაადამიანურ დასასრულს, რა ჰქვია ასეთ ადამიანს?

სადღაც ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი. ალბათ, ეს არის ერთადერთი დარჩენილი აზრი ამ ქვეყანაში.

სოფო ჭყონია: „გადაღება საქართველოში ჰომოფობიური განწყობების გამო გააუქმეს“

თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეულის ხელმძღვანელმა სოფო ჭყონიამ განაცხადა, რომ ჰოლივუდმა სვანეთში გადაღებები გააუქმა:

– მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ დიდ მოდის სახლს სარეკლამო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ჰქონდა გადაღება საქართველოში, კერძოდ, სვანეთში. ეს გადაღება ჰოლივუდის ვარსკვლავის მონაწილეობით უნდა მომხდარიყო. ზუსტად ერთი წელი მიმდინარეობდა მოლაპარაკება ამ პროექტზე. დღეს მათ გადაღება საქართველოში გააუქმეს ქვეყანაში ჰომოფობიური განწყობების გამო. ძალიან სამწუხაროა!

იუბილარმა რობერტ სტურუამ მოულოდნელი საჩუქარი მიიღო

რეჟისორი რობერტ სტურუა იუბილარია. მას 83 წელი შეუსრულდა. იუბილარმა რეჟისორმა სრულიად მოულოდნელი საჩუქარი მიიღო, რომელსაც მან მამის მოლოცვა უწოდა:

– მამის მოლოცვა?

საოცარი ამბავი შემემთხვა: ამბროლაურიდან მივდიოდით მესტიაში. სანდომიანმა, ლამაზმა ქართველმა ქალმა სასტუმროში მკითხა:

– ბატონო რობერტ, იცით, რომ ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას მამათქვენის ოთხი ნამუშევარი ამშვენებს?

– სამწუხაროდ, არა, – ვუპასუხე და შემრცხვა, რომ არ ვიცოდი, – არც გამიგია!

– ოთხი შესანიშნავი პორტრეტი უნდა ყველამ ნახოს!

ღამის ათი საათი იყო!

რა ვქნა, შევწუხდი, მუზეუმში დღეს ვეღარ მოვხვდები, უკვე დაკეტეს, ხვალ კი დილით ადრე მივემგზავრებით – გზა გრძელი გველის:

ამბროლაური-ზუგდიდი-მესტია!

ქალი მიხვდა, რამაც ამაღელვა და დამამშვიდა:

– ხვალ, დილის ცხრა საათზე, მუზეუმს გააღებენ! შეგიძლიათ, მიხვიდეთ!

დილის ცხრა საათზე იქ ვიყავი!

ქართველი მხატვრების შესანიშნავი კოლექცია დამათვალიერებინა მუზეუმის არაჩვეულებრივმა, თუ არ ვცდები, დირექტორმა, მხატვარმა, ბატონმა ბესომ.

მამაჩემის ნახატებიც მომეწონა: სამი ჩემი ბიძაშვილის, ლილიკო ბოლქვაძის პორტრეტი და ერთი კი – ჩემი დის!

და როცა დღეს ფოტოებს ვასწორებდი, უეცრად იდუმალმა, თითქმის მისტიკურმა ფიქრმა გამინათა გონება:

ჩემი დაბადების დღეა და მამაჩემმა, მხატვარმა რობერტ სტურუამ, ხმა მომანდინა!

მადლობა, რობერტ! ასე ვეძახდი და ვეძახი მშობელს! მადლობა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საქართველოს მორიგი მედლები – ვერცხლი, ბრინჯაო და...

საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე აგრძელებს მედლების მოპოვებას.

ქართული ძიუდოს სკოლისთვის განსაკუთრებული გამოდგა ტოკიოს 32-ე ოლიმპიური თამაშები. ლაშა გუჯეჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა ოთხი მედალი მოიპოვა. ბოლო გურამ თუშიშვილის მიერ მძიმე წონაში მოპოვებული ვერცხლის მედალია.

მომავალი ფინალისტი საქმეში მე-2 წრიდან ჩაერთო. ჯერ ტაჯიკი თემურ რახიმოვი 2 ვაზარით დაამარცხა, შემდეგ ოლიმპიური თამაშების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელ ბრაზილიელ რაფაელ სილვას 3 გაფრთხილება მიაღებინა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. გურამმა ნახევარფინალში ჯერ გვანერვიულა, შემდეგ კი ეფექტურად მოუგო ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტსა და ევროპის ჩემპიონს, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელს ტამერლან ბაშაევს. რუსი ვაზარით დაწინაურდა, რასაც ერთ წუთში ქართველის საპასუხო ვაზარი და ბოლოს იპონი მოჰყვა. შედეგად, თუშიშვილმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ქართველ მძიმეწონოსანს გადამწყვეტ შეხვედრაში ევროპის 3-გზის და მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონთან, რიოს თამაშების ოქროს მედალოსანთან, ჩეხ ლუკას კრპალეკთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა. ჩეხი ბრძოლას თავს არიდებდა და 2-ჯერ გააფრთხილეს. ერთი შიდოკ და მეტოქე დამარცხებულად გამოცხადდებოდა, მით უმეტეს, რომ თუშიშვილი კვლავაც შემართებით ასპარეზობდა, მაგრამ ძირითადი დროის ამოწურვამდე 27 წამით ადრე ჩეხმა ქართველი ვაზარზე დააგდო და შებოჭა.

გურამ თუშიშვილი:

– რა თქმა უნდა, ოლიმპიური მედალი ძალიან სასიხარულოა. ამისთვის ბევრი ვიმუშავე, გავედი ფინალში, თუმცა წავაგე. მადლობა ღმერთს, რომ მედალი ავიღე. საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეტი შემეძლო.

ძიუდოისტებისგან ოლიმპიური მედლების ესტაფეტა საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრმა ანტონ პლესნოიმ ჩაიბარა.

ევროპის ჩემპიონმა და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა, ასევე მსოფლიო ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა პლესნოიმ (96 კგ) შეუძლებელი შეძლო და კვარცხლბეკზე ცალი ფეხით ავიდა.

პლესნოიმ ატაცში პირველ ცდაზე 173 კილოგრამი – ძნელად, მაგრამ მაინც დაიმორჩილა. მეორე მისვლაზე 177 კილოგრამი ვერ დასძლია, მაგრამ მესამეზე მიზანს მიაღწია.

აკვრაში პირველ წონად ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ასანიძემ 206 კილოგრამი შეუკვეთა, რაც პლესნოიმ დაძლია კიდეც, მაგრამ წონის დაფიქსირებისთანავე ფიცარნაგი კოჭლობით დატოვა.

პლესნოიმ მეორე მისვლაზე 210 კილოგრამი ფიცარნაგს მოსწყვიტა, მაგრამ ფეხმა უმტყუნა და შტანგას უმალ ხელი გაუშვა, ეს კი უმედლოდ დარჩენას ნიშნავდა. დარჩენილი იყო მესამე და ბოლო ცდა. წონის დაფიქსირების შემთხვევაში, სამეულში ადგილის დაკავების დიდი შანსი იყო, მაგრამ საამისოდ პლესნოი ფიცარნაგზე უნდა გასულიყო. საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა და ძალოსანთა ნაკრების ექიმმა გიორგი ჭინჭარაულმა პლესნოის ტკივილი გაუყუჩეს, ფეხზე დააყენეს და ფიცარნაგზე შეუშვეს. 24 წლის ანტონ პლესნოი ჯერ ტკივილსა და მერე წონას გაუმკლავდა, ჯამში 387 კილოგრამით ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ანტონ პლესნოი:

– დიდი მადლობა საქართველოსა და ყველას, ვინც მგულშემატკივრობდა. მაქსიმუმის გაკეთებას ვცდილობდი, მაგრამ ტრავმამ არ მომცა ამის საშუალება. ხუთი დღის წინ წავიქეცი და ტრავმა მივიღე, მაგრამ ექიმების გიორგი ჭინჭარაულისა და ზურა კახაბრიშვილის დახმარებით შევძელი გამოსვლა და იმ კილოგრამების აწევა.

პირველი მისვლის შემდეგ ვერ ვხვდებოდი, როგორ უნდა ამეწია შტანგა, მაგრამ, მუხლიც რომ დამმსხვრეოდა და უმძიმესი ტრავმა მიმეღო, მაინც საქართველოსთვის მედალი უნდა ჩამომეტანა.

მადლობა მინდა გადავუხადო ფედერაციასა და ჩვენს მწვრთნელებს კახიაშვილსა და ასანიძეს, რომლებიც მთელ სულს დებენ ჩემს საქმეში. შემდეგ ოლიმპიადაზე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ოქროს მედალი მოვუტანო საქართველოს.

საქართველოს დელეგაციას კიდევ ერთი მედალი გარანტირებული აქვს – ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე იაკობ ქაჯაია ფინალშია, სადაც 3-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს, კუბელ მიხაინ ლოპეს ნუნიეს დაეჭიდება. გადამწყვეტი შეხვედრა დღეს არის და იქ გამოჩნდება, თუ რომელ სინჯს მოიპოვებს ქართველი ფალავანი.

130 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქაჯაიამ ფინალამდე ჩინებულად იარა, საწყის ეტაპზე ფინელი ელიას კუსმანენი 2.25 წუთში 9:0 დაამარცხა, ხოლო შემდეგ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წევრ სერგეი სემიონოვს დაეჭიდა და 3:1 მოუგო.

ნახევარფინალში ჩილელ იესმან აკოსტა ფერნანდესთან ბრძოლა დაძაბული გამოდგა. ილეთი ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ გააკეთა, მაგრამ ორივემ თითო ქულა გაფრთხილებებით მიიღო. იმის გამო, რომ ბოლო ქულა ქართველმა აიღო, ფინალის საგზურიც მან გაინაღდა.

დასრულდა 25 მეტრზე სპორტული პისტოლეტით სროლაში ნინო სალუქვაძის ასპარეზობა. ოლიმპიური თამაშების 3-ვე ხარისხის მედლის მფლობელმა ქართველმა ტყვიის მსროლელმა დასკვნით საკვალიფიკაციო სროლებში 287 ქულა დააგროვა, ჯამში კი 578 ქულას მოუყარა თავი და 44 მონაწილეს შორის 25-ე ადგილი დაიკავა.

როგორც არ უნდა იყოს, ნინო სალუქვაძე უნიკალური მიღწევის ავტორი გახდა. ქართველი ტყვიის მსროლელი ერთადერთი ქალი ოლიმპიელია, რომელსაც 9 ოლიმპიურ თამაშებზე უასპარეზია.

იმედს გვისახავს საქართველოს მოკრივეთა ნაკრების წარმომადგენელი ესკერხან მადიევი (69 კგ). 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონმა მისთვის სადებიუტო ოლიმპიურ თამაშებზე მეოთხედფინალამდე გაიკვალა გზა და დამარცხდა, მაგრამ ეს უფრო გამოუცდელობით მოხდა, ვიდრე შემართების ნაკლებობით. 23 წლის მადიევი მასზე ბევრად გამოცდილ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელს, ლონდონის თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელს, მსოფლიოს ჩემპიონსა და ევრაზიის მედლის მფლობელს, 34 წლის ანდრეი ზამკოვოვს შეხვდა და 3 რაუნდში 0:5 დამარცხდა, თუმცა დაგვანახა, რომ მისი სახით საქართველოს ნაკრებს კონკურენტუნარიანი მოკრივე ეყოლება.

ოლიმპიურ სარბიელზე გავიდა ბირთვის მკვრელი სოფო შათირიშვილიც. ქართველმა ოლიმპიელმა პირველ ცდაზე ბირთვი 14.91 მეტრზე ჰკრა, მეორეზე – 15.31 მეტრზე, მესამე ცდა კი ჩაუვარდა და ასპარეზობა ბოლო ადგილზე დაასრულა.

სიგრძეზე ხტომაში გამოვიდა ბაჩანა ხორავა, მაგრამ ფინალისთვის კვალიფიკაცია ვერ გაიარა. ხორავა პირველ ცდაზე 7,41 მეტრზე გადახტა, მეორეზე – 7,35-ზე, მესამეზე – 7,17-ზე და ბოლოსწინა ადგილზე გავიდა.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციას 5 მედალი აქვს: ჩემპიონი ლაშა ბექაური გახდა, ვერცხლს ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და გურამ თუშიშვილი დაეუფლნენ, ხოლო ანტონ პლესნოი – ბრინჯაოს.

და კიდევ ერთი გარანტირებული მედალი, რომელიც დღეს გაოფიციალურდება...

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ზუროსი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას აქტიურად იწყებს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები თბილისში შეიკრიბა და ვერის ბაღის დარბაზში, რომელიც კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას რამდენი თვის წინ მართვის უფლებით გადაეცა, 3 კვირის განმავლობაში მოემზადება.

ჩვენს ეროვნულ გუნდს უახლოესი ოფიციალური მატჩები ნოემბერში ელის, მაგრამ, ნაკრების ხელმძღვანელობისა და მწვრთნელთა შტაბის გადაწყვეტილებით, გენერალური შეკრება სეზონებს შორის პერიოდში დაიგეგმა. ამის უპირველესი მიზეზი ეროვნული გუნდის წევრთა ფორმაში ყოფნა, მათი ერთმანეთთან კიდევ უფრო შეთამაშება და ახალი კანდიდატების შერჩევაა.

ჯანმრთელობისა და სხვა რიგი მიზეზების გამო ეროვნულ გუნდში რამდენიმე კალათბურთელი, ძირითადად აშშ-ის გუნდებში მოთამაშეები ვერ ჩამოვიდნენ, თუმცა ნაკრების ძირითადი ბირთვი თბილისშია და ილიას ზუროსის ხელმძღვანელობით ემზადება.

ზუროსი ასისტენტებთან – მიღოშ გლიგორიევიჩთან, მანუჩარ მარკოშვილთან, ანატოლი ბოისასთან და ფიზმომზადების მწვრთნელ ირაკლი შიოშვილთან ერთად ნაკრების წევრებს დღეში ორჯერადად ავარჯიშებს. სამწვრთნელო შტაბს შემუშავებული აქვს სპეციალური გრაფიკი, რომლის მიხედვითაც კალათბურთელები ვარჯიშების ყველა საჭირო კურსს გაივლიან.

ვარჯიშები კოვიდრეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

უკანა ხაზი: გიორგი ცინცაძე (თსუ), გივი ბაქრაძე (ოლიმპი), ლუკა მაზიაშვილი (უგუნდოდ), ოთარ ფხაკაძე (ქუთაისი), ლუკა ბულაშვილი (დინამო), მერაბ ბოქოლიშვილი (რუსთავი), კახა ჯინჭარაძე (ოლიმპი), საბა ლობჯანიძე (უგუნდოდ), სანდრო სანაძე (ტამისი, სერბეთი), ნიკა ჩეჩელაშვილი (ცხუმ-აფხაზეთი), დუდა სანაძე (ბორაცი, სერბეთი), ნიკა გაფრინდაშვილი (დინამო);

ფორვარდები: ნიკა მეცხვარიშვილი (ლუიზიანის უნივერსიტეტი, ნცაა, აშშ), მიხეილ ბერიშვილი (უგუნდოდ), გიორგი კორსანტია (უგუნდოდ), ალექსანდრე ფევაძე (ცხუმ-აფხაზეთი), ნიკა დარბაიძე (დინამო), თორნიკე შენგელია (ცსკა, რუსეთი);

ცენტრები: ბექა ბექაური (ბათუმი), ილია ლონდარიძე (ოლიმპი), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი), გიორგი ტურძილაძე (ორში, საფრანგეთი), გიორგი თვალაბეიშვილი (რუსთავი).

შედეგები

1 აგვისტო

ოლიმპიადა

ჩოგბურთი – ჯაცები

ფინალი

ზვერევი-ხაჩანოვი 6:3,6:1

ჯაცათბურთი – ჯაცები

არგენტინა-იაპონია 97:77

ესპანეთი-სლოვენია 87:95

ქალები

კანადა-ესპანეთი 66:76

31 ივლისი

ფეხბურთი

პოჩტეგალია. სუპერთასი

სპორტინგი-ბრაგა 2:1

ხესეთი. პირველი ლიგა

უფა-დინამო 2:3

ცსკა-ლოკომოტივი 1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-კლაგენფურტი 4:0

ლინცერი-რაპიდი 1:1

ჰარტბერგი-ალტახი 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

შარლერუა-სტ.ტრუიდენი 0:0

სერენი-მეხელენი 1:0

სერკლი-ლეუვენი 1:1

ეუპენი-ანდერლეხტი 1:1

მოტლანდია. პირველი ლიგა

რეინჯერსი-ლივინგსტონი 3:0

როსი-სტ.ჯონსონი 0:0

დანდი-სტ.მირენი 2:2

ჰართსი-სელტიკი 2:1

უკრაინა. პირველი ლიგა

მინაი-ოლეკსანდრია 1:0

ჩერნომორეცი-დნიპრო 0:3

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-მიდტიულანდი 0:2

შვედეთი. აღსვენსკა

დეგერფოსორი-ვარბერგი 1:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ჰანზა 0:3

ინგოლშტადი-ჰაიდენჰაიმი 1:2

რეგენსბურგი-ზანდჰაუზენი 3:0

ფორტუნა-ვერდერი 2:3

საფრანგეთი. ლიგა 2

ნიმი-დიჟონი 2:1

აიაჩო-ამიენი 3:1

გენგამი-ვალანსიენი 1:1

ნანსი-ტულუზა 0:4

ნიორი-კაენი 0:1

როდეზი-პო 1:0

სოშო-ლე ავრი 0:2

პარიზი-დიუნკერკი 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მადნის, ნახშირისა და სხვა ნივთიერებების ნარევი ლითონის გამოსადნობად; 2. მუზეუმი პარიზში; 3. ქართული სანადიმო სიმღერა; 4. პატარა რესტორანი; 5. ქართული სამშენებლო კომპანია; 6. მუდმივი მყიდველი; 9. დაავადების ან მისი ნიშნების დამალვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. საწვავი სითხე; 16. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების გერმანელი ასტრონომი; 20. ღვინის დიდი ქვევრი; 23. ესკალატორის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 24. კათოლიკური ჯვარი; 25. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 26. ირლანდიური ცეკვა.

თარაზულად: 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყინულზე სასრესალო აფრიანი მოწყობილობა; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. ფულის ერთეული სომხეთში; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. საელჩოებისა და საკონსულოების თარჯიმანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პუებლო; 2. მადერა; 3. ხანჯლური; 4. ალმაზა; 6. ესტაფეტა; 8. პიკეტი; 11. სოლიტერი; 12. კომოციო; 16. პარმა; 17. პორშე; 18. ზევსი.

თარაზულად: 1. პულმანი; 5. პირეი; 7. კამვოლი; 9. ბოკერია; 10. გახარია; 13. ტუგრიკი; 14. კოიოტი; 15. კოკი; 19. გორგაძე; 20. დომკრატი; 21. ყანდარელი; 22. ქილიკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აორტა; 2. წაბლი; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ანჩისხატი; 14. ფეტვი; 16. არიბა; 18. კრაკოვი; 20. დარიალი; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

თარაზულად: 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. ონისე; 15. დუომო; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. პასტორალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 აგვისტო

აშშ დოლარი — 3.1244

ევრო — 3.7174

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3670

100 რუსული რუბლი — 4.2829

ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსათვის

ჰენდერსონი და ლივერპული ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან

ლივერპული და ჯორდან ჰენდერსონი ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან, რადგან ჰენდერსონს უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი სჭირდება, ვიდრე ამას ლივერპული სთავაზობს, ამიტომ, არ არის გამორიცხული, მან ლივერპული დატოვოს.

ჰენდერსონი ლივერპულში უკვე დიდი ხანია, თამაშობს და ბოლო ორი წელიწადი გუნდის კაპიტანიც არის. მისი წასვლა იურგენ კლოპის გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან ჰენდერსონი ინგლისში ერთ-ერთ საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველად ითვლება.

ბორუსია ჰოლანდს 150 მილიონად აფასებს

დორტმუნდის ბორუსია თავისი ნორვეგიელი ფორვარდის ერლინგ ჰოლანდის გაყიდვას არ აპირებს და მისი ყიდვის მსურველს 150 მილიონის გადახდა მოუწევს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჰოლანდმა, შესაძლოა, ბორუსიასთან ახალი კონტრაქტიც გააფორმოს, თუ მას უფრო მაღალ ანაზღაურებას შესთავაზებენ.

ნორვეგიელი ფორვარდის შეძენა ბევრ ევროპულ გრანდს სურს.

დანი კარვახალმა ანჩელოტი შეაქო

მადრიდის რეალის მცველმა დანი კარვახალმა კარლო ანჩელოტიზე ისაუბრა და თქვა, რომ ანჩელოტი მაღალი დონის სპეციალისტია, რომელსაც შეუძლია, გუნდს წარმატებები მოუტანოს:

– ანჩელოტისთან ადრეც მიმუშავია და მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი, თუმცა გუნდის წარმატებისთვის მხოლოდ მწვრთნელი საკმარისი არ არის და ფეხბურთელებმა მოედანზე ძალები არ უნდა დავზოგოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– არ შეგიძლია, სხვა რომ დატანჯო?

– არა, უკვე შენ შეგარჩიე.

●●●

ორი დიდი ხნის უნახავი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გოგო, შენი შემხედვარე ადამიანი იფიქრებს, რომ ქვეყანაში შიმშილობაა.

– შენ დანახვაზე კი იფიქრებს, რომ სწორედ შენ გამოა ქვეყანაში შიმშილობა...

●●●

იპოდრომზე გარბენის წინ საჯინიბოში ინსპექტორი შედის და ხედავს, რომ ერთ-ერთი მწვრთნელი თავის ცხენს რაღაცას აჭმევს. ინსპექტორი დაინტერესდა:

– ეს რა „ტაბლეტკებია“?

– ეს? ეს უბრალოდ კარამელია. თავადაც ვჭამ, აი ნახეთ, – უპასუხა და გადაყლაპა, – თქვენც გინდათ?

– კარგით, მომეცით.

სტარტის წინ მწვრთნელი თავის ჟოკეის ეუბნება:

– მთელი დისტანცია შუაში შეიმაგრე ცხენი, წინ მხოლოდ ბოლო წრეზე გაიჭერი. იცოდე, თუ ფინიშის ხაზთან ვინმემ გადაგასწრო, მაგაზე არ ინერვიულო, ეს ან მე ვიქნები, ან იპოდრომის ინსპექტორი...

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– თქვენ ნაძირალა ხართ!

– კი მაგრამ, მე ხომ არაფერს ვაკეთებ...

– ჰოდა, იმიტომაც გეუბნები, რომ ნაძირალა ხარ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი ძოწენიძე გოგონას მამა გახდა

მომღერალი გიორგი ძოწენიძე გოგონას მამა გახდა.

30 ივლისს მისმა მეუღლემ მია მაჩაბელმა პატარა გოგონა გააჩინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

მშობლებმა მას ანიტა დაარქვეს. პატარა ანიტა 3.200 კგ და 50 სმ-ია.

ახალბედა მშობლებმა და ახალშობილმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილი მიიღეს.

სოფო ბათილაშვილი: „როდემდე ვიცხოვროთ ასე?“

კითხულობს „მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული მომღერალი სოფო ბათილაშვილი:

– რა ვქნათ, რით და როგორ ვიაროთ ქუჩაში, ან რომელ საათზე, ან რომელ უბანში, რომ დაცულები ვიყოთ?!

ტურისტებზე თავდასხმები და მკვლელობები, ქუჩაში გამვლელზე თავდასხმები, ოჯახის წევრი ოჯახის წევრს კლავს, ჩეხავს! ერთმანეთს იმეტებენ და არ ეშინიათ მართლმსაჯულების!

როდემდე ვიცხოვროთ ასე და უფრო უარესის მოლოდინში? აღარ ვიცი, რა ჰქვია ამას. ძალიან საშიშია ეს ყველაფერი.

ბექა ადამაშვილი ადამიანების გულგრილობით გაკვირვებულია

„მთავარი ჭკვიანის“ გამარჯვებული, მწერალი ბექა ადამაშვილი, გაკვირვებულია იმ ადამიანების ქცევით, რომლებსაც მხოლოდ ზაფხულის სიცხე აწუხებთ:

– სადღაც ჩვენ გვერდით ხომ ნამდვილად ცხოვრობს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, რომელსაც არც კოვიდის, გნებავთ, კოვიტის არსებობის სჯერა, არც თანამედროვე მწერლობის არსებობის, „აბა ჭავჭავაძის მერე ვის რა უნდა დაეწერა?!“ და პარალელურად, ვენესუელის კრიმინოგენური სიტუაცია თუ ბრეიკიის სამყაროში არსებობა საქართველოში მომხდარ მკვლელობებსაც ამართლებინებს.

ეს ადამიანი ზუსტად ამ მომენტში პურზე კარაქს ისვამს, ჩაის ხრუპუნით სვამს, ფანჯრიდან იყურება და ერთადერთი, ის აწუხებს, რომ „ნეტა დღეს ძალიანაც არ ჩამოცხეს.“

ჰოდა, აი, მაგ ადამიანის განწყობა მინდა ერთი დღით, თორმეტის მერე დავუბრუნებ ისევ.

გიორგი ცხადაძე: „ქუჩაში გასვლა უსაფრთხო აღარ არის“

ახმეტელის თეატრის მსახიობი გიორგი ცხადაძე აცხადებს, რომ საქართველოში ქუჩაში გასვლა უსაფრთხო აღარ არის:

– მსახიობი ვარ, მაგრამ ამ პროფესიაში დარჩენის ფასად ყველა კარის გაღებას ვცდილობ და მთელი ჩემი გულით, გონებით, ყველა ჩემი რესურსით, თავითა და ფეხით, ყველა თითით ვცდილობ, ვიშრომო. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მსახიობის ხელფასით ვერც ოჯახს ვარჩენ და ამ პროფესიაშიც ვეღარ დავრჩები.

ამის მიუხედავად, სალომესთან ერთად რამდენჯერაც მიფიქრია ქვეყნიდან წასვლაზე, ბოლოს მაინც დარჩენას ვირჩევდით.

ახლა, როცა ქუჩაში გასვლა უსაფრთხო აღარაა, შეიძლება, ერთი ჩვეულებრივი რიგითი დღე გქონდეს, გარეთ გახვიდე და მოგკლან – ამ დროს კი ჩვენ ნენე გვყავს. ასეთ დროს როგორ მოვიქცეთ?!

ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელიც ციხეში აღმოჩნდა

ბრაზილიის სილამაზის კონკურსს „მის ბუმბუმ-2018-ის“ მეორეადგილოსანი ფლავია ტამაიო რვა წლით გისოსებს მიღმა აღმოჩნდა პროსტიტუციისა და ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის.

ტამაიო, რომელიც ასევე ცნობილია „დენთის დედოფლის“ სახელით, პორნოგრაფიულ ფილმებსა და ჟურნალ „ფლეიბოის“ პორტუგალიური ვერსიისთვის გამართულ გადაღებებში მონაწილეობდა. ბრაზილიაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელი, ესპირიტუ სანტუს შტატში სასტუმროში დააპატიმრეს, როგორც ქალთა დანაშაულებრივი დაჯგუფების ხელმძღვანელობაში ეჭვმიტანილი. აღნიშნული დაჯგუფება მძიმე ნარკოტიკებით ვაჭრობით იყო დაკავებული, ასევე, შეძლებულ კლიენტებს სექს-მომსახურებას სთავაზობდა. სავარაუდოდ, ისინი ჯგუფს ასეთ მომსახურებაში 500-დან 1000 ბრაზილიურ რეალამდე უხდიდნენ.

პოლიციის თანამშრომლების ინფორმაციით, დაკავების დროს ტამაიო გახდას ცდილობდა, მაგრამ მათი ის გააკავეს და ხელებზე ხელბორკილები დაადეს. ჩხრეკის დროს ამოღებული იქნა დიდი ოდენობით მარიხუანა და კოკაინი, ცეცხლსასროლი იარაღები და სხვა საბრძოლო მასალები. შედეგად პოლიციამ კიდევ 37 პიროვნების დაკავების ორდერი გასცა.

– გამოძიებამ გაარკვია, რომ ტამაიო იყო გოგონა გამოძახებით და ასევე, საკუთარ კლიენტებზე ნარკოტიკების გასაღებითაც იყო დაკავებული, – განაცხადა პროკურატურის თანამშრომელმა რაფაელ კორეამ.

ტამაიოს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ვადამდე განთავისუფლების შესაძლებლობით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანი ბებია: „არ დავუშვათ ბავშვების დაჩაგვრა“

მსახიობი ანი ბებია სთხოვს ყველას, არ დაუშვან ბავშვების დაჩაგვრა, რადგან მათი მოძალადეებად ჩამოყალიბება, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ოჯახის ბრალია:

– შვილებსა და შვილიშვილებს, ბავშვებს ოჯახში საშინლად რომ ექცევით, ქუჩაში რომ ამცირებთ ყველას დასანახად, მაგის ბრალია ყველაფერი, თქვენი ბრალია, მოძალადე შვილებს რომ ზრდით. დაფიქრდით ცოტა და, სადმე სადაც დაინახავთ, რომ ოჯახის წევრი ბავშვს ამცირებს ან აგრესიულად ექცევა, აუცილებლად უთხარით რამე. ყველა მომენტს ვნანობ, როცა ხმა ვერ ამოვიღე. ბოლო გუშინ იყო, ეზოში ბებია შვილიშვილს რომ ამცირებდა და პოტენციურ მოძალადეს რომ ზრდის. ემოციების შემეშინდა, რომ დამეწყო ამ ქალთან საუბარი, აუცილებლად გამოვიდოდი წყობიდან და ის უარესად გაღიზიანდებოდა და უარესად მოექცეოდა მერე სახლში ჩუმად ბავშვს. არ დავუშვათ ბავშვების დაჩაგვრა, გთხოვთ.

მიშა ქირია საქართველოში არსებული ვითარებით შეშფოთებულია

ოპერის მომღერალი მიშა ქირია საქართველოში ბოლო დღეებში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებულია:

– 15 დღის განმავლობაში პოლონელი ტურისტი დაჭრეს, აზერბაიჯანელი ბლოგერი მოკლეს, გერმანელი დიჯეი ცემეს და ახლა ეს საწყალი გოგო მკვდარი იპოვეს. თვე არ გავა, ათობით ქართველი არ მოკლან ან ავარიაში არ დაიღუპოს, ამას დავამატოთ კოვიდით გარდაცვლილები, დღეში საშუალოდ 20 ადამიანი. მე არ მინდა ასეთი საქართველო და არც ქართველი, რომელსაც პროტესტი არ უჩნდება ამ ყველაფრის მიმართ და ეგუება ამ ყოველდღიურობას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 აგვისტოსათვის

ვერძი – ემოციური განახლების დღეა, საკმაოდ რთული და კონფლიქტური. ერიდეთ საკუთარი აზრის გამოთქმას ხელმძღვანელობასთან. **ჯარო** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **ტყუპები** – ყურადღებით იყავით. სამსახურში მცირეოდენი შეცდომაც კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. **კირჩხიბი** – ადრე დაშვებული შეცდომები უთუოდ გააანალიზეთ და საჩქაროდ გამოასწორეთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ლომი** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. ბედი გწყალობთ. **ღრიანქალი** – თავს დაცულად და მშვიდად გრძნობთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევასა და კონცენტრაციას მოითხოვს. ფინანსები აკონტროლეთ. **თხის რქა** – დროა, ფასეულობები გადააფასოთ. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – საქმიანი პარტნიორები ნერვებს გიშლიან. გეგმების შეცვლა მოგიწევთ. **თევზები** – შესაძლოა ძველმა მეგობარმა გაწყენინოთ. კარგი იქნება, თუ შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 6. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 8. ესპანელი აზნაური; 11. ქართველი პაროდისტი, მინიატურების თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 12. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 16. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 17. მუსლიმანური კალენდარი; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 1. სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის ნატურალური ზომის მოდელი თვალსაჩინოებისათვის; 5. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 7. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 9. რბილი ხაოს მქონე მკვრივი აბრეშუმის ქსოვილი; 10. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 13. ბუდიზმის ფუძემდებელი; 14. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 15. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ნაქსოვი, მხარზე გადასაკიდი სურსათ-სანოვაგის გადასაზიდი ჩანთა; 20. გულის მუშაობის ერთ-ერთი ფაზა – მოშვება; 21. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 22. მექსიკის პრეზიდენტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა